რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 6 თებერვალი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთის ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დღის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას [illegible].

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 29 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის
ყოველ დღიურ გაზეთ
„ერთობა"-ზე
ხელის მოწერის პირობები

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება.
შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ [illegible].
გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:
Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".
ამხ. და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ღრმათ დამწუხრებულნი დედ-მამა სიმონ და ლისა, ძმები: კონსტანტინე, ილიკო და დომენტი, რძალი დროსიდა, ძმის წულები: აპოლონ, კარლო და პოლია, ვაუწყებთ ნათესავთ, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ სამშაბათს 6 თებერვალს სამებაში (გურია) სამების ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოთ გარდაცვალებულის ძვირფასის

ისიდორე სიმონის ძე გოგელიას

სულის მოსახსენებლათ. (2—2)

გულდამწვარნი დედ-მამა ივანე და მაშო, ძმები: ალექსანდრე და ლადიმერი მეკარაშვილები, დაი ნინო და სიძე ვასილი ცალქალამიძეები გულითადის მწუხარებით ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასის

დარიკო გოგელიას ივანე მეკარაშვილის ასულის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 6 თებერვალს სოფელ სამებაში (გურია). (2—2)

ღრმათ დამწუხრებულნი: მამამთილი სიმონ, დედამთილი ლისა, მაზლები: კოსტანტინე, ილიკო და დომენტი, რძალი დროსიდა, მაზლის შვილები: აპოლონ, კარლო და პოლია გოგელიები გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს ძვირფასის

დარიკო გოგელიას ივანე მეკარაშვილის ასულის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 6 თებერვალს სოფ. სამებაში (გურია). (2—2)

4 თებერვალს ღამით მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

სტეფანე ანდრიას ძე ნასყიდოვი,

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მწუხარებით გულმოკლული მეუღლე სალომია გრიგოლის ასული თავის შვილებით. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 5 საათ. მიცვალებულის სახლში. (დიდიმთავრის ქუჩა № 113) დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ვაგზლის კერძო სამკურნალო.

მიხაილოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით

იღებენ ექიმები - სპეციალისტები:

ექ. ბოკერია ივ.—ქირურგიული სნეულებანი. ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
ექ. ვაშაკიძე ექვ.—შინაგანი და ნერვების სნეულებანი, ყოველ-დღე 11—12 საათ.
ექიმი-ქალი იოსელიანი მარ.—ქალის სნეულებანი, 10—5—11—5 საათ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.
ექ. კლდიაშვილი ვლ.—შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ-დღე 1—2 საათ.
რჩევა ერთი მანეთი, ოპერაცია შეთანხმებით.

## სახლის კომიტეტები

როგორც გამოირკვა ქალაქში ყველა სახლებს ვერ მოუსწრია 1 თებერვლისათვის სახლის კომიტეტების არჩევა, ამიტომ თფილისის ქალაქის გამგეობისაგან 9 იანვრის თარიღით გამოცემული სავალდებულო დადგენილება (სახლის კომიტეტების შესახებ) რომლის თანახმად 1 თებერვლიდან პური უნდა მისცემოდა მხოლოდ სახლის კომიტეტებს—ძალაში შევა მხოლოდ 15 თებერვლიდან, ამ რიცხვისათვის კი ყველა სახლები ვალდებულია ამოირჩიონ სახლის კომიტეტები.

სახლები, რომელთაც ამორჩეული ჰყავთ ან და ამოირჩევენ 15 თებერვლამდი სახლის კომიტეტებს—პური მიეცემათ რიგის გარეშე.

(2—2)

თფილისის ქალაქის გამგეობა.

## კოოპერატივებო და კოოპერატორებო,

დაეხმარეთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფულის მოგროვებით, ყოველმა კოოპერატივმა წმინდა მოგებიდან უნდა გადასდოს ნაწილი საბჭოსათვის.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.
ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირი.

## იმპერიალისტები იმარჯვებენ

თანამედროვე მსოფლიო ომი იმპერიალისტების სასარგებლოთ თავდება. ჯერ-ჯერობით ძლევა-მოსილების გვირგვინით იმოსება ცენტრალურ სახელმწიფოების ან სწორეთ რომ ვსთქვათ, გერმანიის კაპიტალისტები და მსხვილი მემამულეები.

მას შემდეგ, რაც სახალხო კომისარების საგარეო პოლიტიკა კომიკურათ გათავდა და ისინი დემოკრატიულ ზავის ჩამოგდებას საბოლოვოთ გამოეთხოვენ, გერმანიის იმპერიალისტებმა ნახევრათ გამარჯვების მიზანს მიაღწიეს. ცენტრალურ სახელმწიფოების გაბატონებულ კლასებს აღმოსავლეთიდან მოწინააღმდეგე აღარ ყავთ, რუსეთის ჯარმა იარაღი დაჰყარა და გერმანია-ავსტრიისა და ოსმალეთის კოალიციას სრული საშუალება ეძლევა ახალი ადგილები შემოიერთოს და იქ იმპერიალისტური პოლიტიკა აწარმოვოს.

აქ ჩვენ აღარ შევეხებით იმას, თუ ვინ მიანიჭა ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს ასეთი გამარჯვება, ვინაიდან ეს ყველასათვის აშკარაა. ერთის მხრივ რუსეთის ეკონომიური სისუსტე, მეორეს მხრივ ბალშევიკების დამღუპველი საგარეო პოლიტიკა მოწინააღმდეგე სახელმწიფოების სასარგებლოთ შეიცვალა და უკანასკნელებიც ბრძოლის ველიდან გამარჯვებული გამოვიდნენ.

რუსეთის ფრონტზე გამარჯვებული ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტები, ეჭვს გარეშეა, დასავლეთისაკენაც ძლევა-მოსილები იქნებიან. თუ მაინცდამაინც დასავლეთისაკენ ასე გამარჯვებულები ვერ გამოვლენ, ყოველ შემთხვევაში იმას მაინც მოახერხებენ, რომ შეთანხმების სახელმწიფოებთან განსაკუთრებით ინგლის, ამერიკასა და იაპონიასთან მორიგებით საქმე გაათაონ, სხვადასხვა ტერიტორიები ერთმანეთში გაინაწილონ. ასეთი პროცესი თითქმის უკვე დაიწყო. შეთანხმების სახელმწიფოები თავის გავლენის ქვეშ აყენებენ ციმბირის ზოგიერთ ადგილებს. გერმანიას თუ ახლო აღმოსავლეთისაკენ ხვდა გამარჯვება, ინგლის-საფრანგეთი და ამერიკა-იაპონია სხვა ადგილებში მიიღებენ ადგილებს და ამ გზით იმპერიალისტური სახელმწიფოების გამარჯვება სინამდვილეთ ხდება.

ამ გარემოებას თვით ბალშევიკებიც ადასტურებენ და სიმართლეს აღარ უარყოფენ. მხოლოდ ისინი ახლა სხვა გარემოებას აქცევენ ყურადღებას და გონიათ ამ გზით შეიძლება უკვე გამარჯვებულ იმპერიალისტების დამარცხება. სახელდობრ, ბალშევიკები დიდს იმედებს ამყარებენ იმ გარემოებაზე, რომ გერმანიაში სოციალისტური რევოლიუცია დაიწყება და ამნაირათ გამარჯვებულ იმპერიალისტების მიზანი ჩაიფუშება. არამც თუ დაიწყება, როგორც იგივე ბალშევიკების ორგანოები ამტკიცებენ, იქ უკვე დაწყებულა სოციალისტური რევოლიუცია და პროლეტარიატს თავისი დიქტატურა გამოუცხადებია. ჩვენ არ ვიცით, რამდენათ ეთანხმება ეს სინამდვილეს და რა ხდება გერმანიაში. ვიცით მხოლოდ ედუარდ ბერნშტეინის განცხადება, რომელიც მეტის მეტათ უკმაყოფილოა ბალშევიკების ზავის პოლიტიკით და რომელმაც საქვეყნოთ სთქვა, რომ რუსეთის ბალშევიკებმა გერმანიისა და საზოგადოთ ევროპის პროლეტარიატს გულში ლახვარი ჩასცაო. ეჭვს გარეშეა, ბალშევიკების ავანტიურისტულ პოლიტიკის მეოხებით საერთაშორისო დემოკრატიული ფრონტი გასწყდა, დემოკრატიული ინტერნაციონალური ზავის პირობები დაირღვა და მით იმპერიალისტები გამარჯვებულები გამოვიდნენ. ვინ არ იცის, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების ისტორიულ მისიას უცხო-განუვითარებელ ქვეყნების დაპყრობა შეადგენს. იქ საწარმოვო ძალთა განვითარებამ, ზედმეტ საქონლის დაგროვებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მათ დასჭირდათ უცხო ქვეყნების ბაზრები, სადაც ისინი თავიანთ ზედმეტ ნაწარმოებს გაასაღებდენ და იქ საჭირო ნედლ მასალას შეიძენდენ. მაშასადამე, კაპიტალისტურ წარმოების ურთიერთობამ მოითხოვა ასეთი შედეგები და დაპყრობითი საგარეო პოლიტიკა მის აუცილებელ ტენდენციას შეადგენს.

წინააღმდეგ შემთხვევაში შინაური კლასობრივი ბრძოლა გამწვავდებოდა, დაქირავებული კლასების ანუ პროლეტარიატის ორგანიცაცია გაიზრდებოდა და არსებულ ბურჟუაზიულ წყობილებას დიდ საფრთხეში ჩააგდებდა. რომ ეს ასე არ მომხდარიყო, რომ შინაური კლასობრივი ბრძოლა არ გამწვავებულიყო, კაპიტალის კონცენტრაცია პროლეტარიატის სასარგებლოთ არ მომხდარიყო, მათ საგარეო იმპერიალისტური პოლიტიკა მიზნათ დაისახეს და ამ გზით მოინდომეს კლასობრივ ბრძოლის განელება. ინგლისის კაპიტალისტები ამ გზას დიდიხანია დაადგნენ. მათ მრავალი კოლონიები შეიძინეს, კოლონიებიდან აღებული ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილი დაქირავებულ კლასებსაც მისცეს და ამ გზით პროლეტარიატი ერთგვარათ დააკმაყოფილეს. ამ შემთხვევაში საუკეთესო ილიუსტრაციას იძლევა კარლ მარქსის ცნობილი წიგნაკი „თავისუფალი ვაჭრობა". მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისში კაპიტალისტურ წარმოებას დიდი ხნის ისტორია აქვს, მიუხედავათ იმისა, რომ იქ კაპიტალისტურ წარმოებამ და პროლეტარიზაციამ მაღალ საფეხურს მიაღწია—ჩვენ იქ უკანასკნელ დრომდის ვერ ვხედავდით ძლიერ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და მუშათა კლასი ბურჟუაზიულ კლასების პოლიტიკის ბურუსში იყო გახვეული. ასევე მოხდება გერმანიაში. თანამედროვე პირობების გამო გერმანიის ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტია ლოღიკურათ უნდა დასუსტდეს.

გერმანიის კაპიტალისტებმა საგარეო ომი იმისთვის დაიწყეს, რომ შინ ძალთა განწყობილება ბურჟუაზიისა და აგრარიების სასარგებლოთ შეეცვალათ. ვინ არ იცის, რომ გერმანიაში საწარმოვო ძალთა განვითარებამ წარმოშვა ძლიერი სოციალდემოკრატიული პარტია, რომლის გარშემო თავს იყრიდა გაპროლეტარიატების გზაზე შემდგარი საშუალო კლასები და ინტელიგენცია. უკანასკნელ გარემოებით აიხსნება, რომ საპარლამენტო არჩევნებში საშუალო კლასები და ინტელიგენცია სოციალდემოკრატებს უჭერდენ მხარს და რომ პროლეტარიატიდან ეს კლასები გამოეყო და გამოეთიშა გერმანიის იმპერიალისტებმა საგარეო პოლიტიკა საუკეთესო საშუალებათ დაინახეს. ახალი ქვეყნების დაპყრობით ჯერ ერთი, პროლეტარიატს ზედმეტ ღირებულებიდან ერთ ნაწილს უთავაზებდა და ამ გზით მათ შორის უკვე გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას აანელებდა. მეორე მხრივ საშუალო კლასებსაც, განსაკუთრებით ინტელიგენციას, დაპყრობილ ქვეყნებში სამოქმედო ასპარეზს მისცემდა და ამ გზით დროებით მათ გადაარჩენდა გაპროლეტარიატებისაგან. ასეთ შემთხვევაში კი იმპერიალისტებს საშუალება მიეცემოდათ პროლეტარიატის ორგანიზაციული და კლასობრივი მოძრაობა გაენელებიათ და ამასთან იგი მარტოკა დაეტოვებიათ.

დღეს ასეთი პირობები უკვე შექმნილია. ბალშევიკების საზავო პოლიტიკის მეოხებით გერმანიის იმპერიალისტები უკვე მიზანს აღწევენ და გერმანიის პროლეტარიატს უკუღმართ პირობებში აყენებენ. ერთი სიტყვით, არსებული მდგომარეობა პროლეტარიატის საზარალოთ შეიცვალა, ობიექტიური პირობები სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ ლაპარაკობს და მას მეტათ მძიმე პირობებში მოუხდება წარმოშობა. მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გერმანიის სოციალისტურ რევოლიუციაზე ლაპარაკი, როცა იგი ძველ ჩარჩოებში დარჩებოდა და საშუალო კლასს ისეთი პერსპექტივები არ ექნებოდა, როგორიც მას ამ ჟამათ ეშლება. სოციალისტური რევოლიუცია მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ობიექტიური პირობები სავსებით მომწიფდება და ფართო საზოგადოების სიმპატია-თანაგრძნობა პროლეტარიატისაკენ იქნება. ამას ამბობდა მარქსი და ამასვე იმეორებს ცნობილი მარქსისტი კარლ კაუცკი. მერე განა ასეთ პირობებს ვხედავთ გერმანიაში? განა გერმანიის საშუალო კლასებს ახალი პერსპექტივა არ ეშლებათ წინ და ისინი გამარჯვებულ იმპერიალისტურ კლასებს მხარს არ დაუჭერენ? ერთი სიტყვით გერმანიის იმპერიალისტებმა ფაქტიურათ გაიმარჯვეს და მოწინააღმდეგე კლასი—პროლეტარიატი დაასუსტეს. მხოლოდ ასე არ ფიქრობენ რუსეთის ანარქო-ბლანკისტები—ბალშევიკები და მათი ამყოლ-დამყოლნი. რამდენათ გამართლდება ბალშევიკების მიერ დასმული დიაგნოზი, ამას მომავალი დაგვანახვებს.

## სოფელს მიხედეთ

საშინელი ამბები მოდის ჩვენი სოფლებიდან. როგორც მოსალოდნელი იყო, ანარქია იქაც დაიწყო.

მთელი თერთმეტი თვის განმავლობაში, ჩვენი ხალხის სასახელოთ, თითქმის ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა სოფლათ. და ეს იმ დროს, როცა სწორეთ გაბოროტებულს სოფლის ხალხს ადვილათ შეეძლო თავის ისტორიულ მტრებზე ჯავრი ეყარა; სწორეთ სოფელში ბევრი, ძალიან ბევრი მასალა იყო დაგროვილი და ყოველ წუთში მოსალოდნელი იყო ცეცხლის გაჩენა.

მაგრამ ჩვენი ხალხის შეგნებამ და პარტიულმა და რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა შესძლეს მშვიდობიანობის დაცვა და ამ უკანასკნელ დრომდე სოფელი ანარქიას ააცდინეს.

გვეტყვიან: რა საჭიროა მშვიდობიანობა და თავდაჭერილობა, როცა სოფლის მთავარი საჭიროება ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელია, როცა გლეხობას ჯერ კიდევ არ მიუღია მიწა.

ეს საყვედური ახალი არ არის, ის პირველათ არ გვესმის.

ჯერ კიდევ მარტ-აპრილში ჩაგვჩიჩინებდენ: ურჩიეთ გლეხობას დაუყოვნებლივ ჩამოართვას მიწები მემამულეებს და ერთმანეთში გაინაწილოსო.

ჩვენ ამის წინააღმდეგი ვიყავით. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ მარტო ჩამორთმევა მიწებისა არ კმარა, საქმე ის არის, თუ ვის ხელში გადავა ეს ჩამორთმეული მიწები.

მოიგონეთ ცხრაას ხუთი წელი, როცა გლეხები მებატონეთა ტყეებს სჩეხდენ. ვინ მოიგო ამ გაჩეხით? მხოლოდ და მხოლოდ მდიდარმა და გავლენიანმა გლეხებმა, იმათ, ვისაც საკმაოდ ქონდა ფული, ყავდა ხარ-კამეჩი და ურემი მიწები რომ უთავ-ბოლოდ ჩამერთმიათ მემამულეებისათვის, აქაც ისევ ძველი ამბავი განმეორდებოდა: მიწებს ისევ მდიდრები და შეძლებულები ჩაიგდებდენ ხელში და ღარიბი გლეხები ისევ ცარიელზე დარჩებოდენ.

ამიტომ ჩვენი სურვილი იყო ორგანიზაციულათ, გადაჭრილი წესით მომხდარიყო ეს ჩამორთმევა და განაწილება.

ბალშევიკების მიერ დამფუძნებელ კრების გარეკვამ დააგვიანა მიწების ჩამორთმევის და განაწილების საქმე. მაგრამ აქ მოეწყო ადგილობრივი მთავრობა და ამიერ კავკასიის კომისარიატმა უკვე გამოსცა დეკრეტი გლეხებისათვის მიწების გადაცემის შესახებ. ამ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლათ ზომებია მიღებული, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ გლეხი არ დაიჩაგროს.

ამ თვის ათში შეიკრიბება ამიერ კავკასიის საოლქო სეიმი, რომელიც ჩვენთვის დროებით დამფუძნებელ კრების მაგიერობას გასწევს. ის უეჭველია დაადასტურებს ამიერ კავკასიის კომისარიატის დეკრეტს მიწების ჩამორთმევის შესახებ და თავის მხრივათაც ეცდება მის ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუწყოს.

კითხვა ასეა დასმული: ან ამიერ კავკასია რევოლიუციონურ წესრიგს დაამყარებს, შექმნის მთელი კუთხისთვის სავალდებულო მთავრობას და სხვა საქმეებთან ერთათ მიწის საქმესაც გლეხების სურვილისამებრ დააგვარგვინებს, ან სეიმი ჩაიშლება, არევ-დარევა კიდევ უფრო იმატებს და ჩვენც იმ ყოფაში ჩავცვივდებით, რომელიც ცხრაას ხუთი წლის შემდეგ დაგვიდგა.

ამიტომ არასოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ჩვენი სოფლისთვის რევოლიუციონური წესრიგი და მჭიდრო ორგანიზაცია, როგორც დღეს. სოფლის და მთელი ქვეყნის ხსნა ორგანიზაციაშია.

სწორეთ ასეთ დროს ვითარდება სოფელში ანარქია, რომელიც ჩვენს ორგანიზაციებს განადგურებას უქადის. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს არევ-დარევა გორის მაზრიდან იწყება. გორის მაზრაში, ამ ქართლის გულში, შეიძლება ითქვას, ბატონ-ყმობა ხელუხლებელი იყო უკანასკნელ დრომდი დატოვებული. საქართველოს არც ერთ კუთხეში არ არსებობდა ისეთი ძლიერი თავად-აზნაურობა, როგორც ქართლში და არსად ისე დაბეჩავებული არ ყოფილა გლეხობა, როგორც აქ. ამიტომ, ვიმეორებთ, აქ ბევრი ღვარძლი და ბოროტება იყო დათესილი და ამ ნათესს ადვილათ შეეძლო ნაყოფი გამოეღო. და ის რაც დღეს გორის მაზრაში ხდება, ნაყოფია გაბოროტებულ და დაუფიქრებელ შურისძიების. ამ შურისძიების იარაღია, როგორც ეტყობა, ფრონტიადნ დაბრუნებული ჯარისკაცები. ესენია, რომ სოფლათ დათარეშობენ და მემამულეებს იკლებენ.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ასეთის მოქმედების. ჩვენ მომხრე ვართ კლასთა ბრძოლის და არა პიროვნებათა ქლეტის. თუ დადგება ისეთი წამი, რომ თავადები შეკავშირდებიან და გლეხობის და რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებას გაბედავენ, ჩვენ პირველნი მოუწოდებთ მათ წინააღმდეგ საბრძოლველათ. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ტერორით და კერძო პირების ხოცვით, არამედ შეკავშირებული ბრძოლით. დღეს კი თავად-აზნაურობა, როგორც წოდება ხმას არ იღებს და თუ თითო-ოროლა პირი ხალხის წინააღმდეგ წავა, მათ ასალაგმავად ჩვენ მოგვეპოება სოფლათ საკმაო ძლიერი რევოლიუციონური ორგანიზაციები.

ამიტომ ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა მორიგ საკითხად უნდა დაისვას ჩვენს სოფლებში, კერძო გამოსვლებს უნდა დაუპირდაპიროთ ჩვენი ორგანიზაციები მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა და აღმასრულებელ კომიტეტებისა. სოფლებმა ყრილობები უნდა გამართონ და განაჩენები გამოიტანონ კერძო პირთა თვითნებობის წინააღმდეგ; სოფლებმა უნდა დაუყოვნებლივ შეადგინონ შეიარაღებული რაზმები, რომლის შემწეობით ყველა ავაზაკები უნდა აილაგმოს. არც ერთი წვეთი სისხლი არ უნდა იქნას დაღვრილი, არც ერთი ნაბიჯი არ უნდა გადაგას არავინ სოფლის ორგანიზაციების დაუკითხავათ. ფრონტიდან შინ მოსულ სალდათებს უნდა განემარტოს, რომ შინ დაბრუნების შემდეგ ისინი აღარ არიან ჯარისკაცები და ამიტომ სალდათების ცალკე საბჭოებს ალაგი არ უნდა ქონდეს.

ანარქია, რომელმაც თავი იჩინა სოფლათ, სათავეშივე უნდა ჩაიკლას, თორემ შემდეგ ძნელი იქნება მასთან ბრძოლა. შეკარით რევოლიუციონური ორგანიზაციბი და გააძლიერეთ მუშაობა.

დაყოვნება შეუძლებელია.

## პრესა

ჩვენ კარგათ გვახსოვს როგორი მოწოდებით მიმართავდენ ბალშევიკები მიმავალ ეშელონებს—არ წახვიდეთ, თორემ გზაზე უბედურება მოგელითო. მაშინ ჩვენ აღვნიშნეთ ბალშევიკების განძრახვა: მათ სურდათ ეშელონების შემწეობით თფილისის აღება და შაუმიანისთვის ძალა-უფლების ჩაბარება.

დღეს, თუმცა გვიან, ბალშევიკები ხელს იღებენ ამ ავანტიურაზე. „კავკაზკი რაბოჩი"-ს უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია ბალშევიკურ საოლქო კომიტეტის მოწოდება ეშელონებისადმი. ამ მოწოდებაში სხვათა შორის სწერია:

„ჩვენ, პროლეტარიატისა და ღარიბეს გლეხების პარტია რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტია ბალშევიკებისა მიუხედავათ ობორონცების საზიზღარ ცილისწამებისა ვითომ ჩვენი პარტია ამიერკავკასიაში დიქტატურის ხელში ჩაგდებას ცდილობდეს, მოგიწოდებთ თქვენ ორგანიზაციულათ დაწყობილი სრულის საომარ წეს-რიგით გაემართოთ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და გზა და გზა მოსპოთ ყველაფერი, რაც წინ გადაგეღობებათ, შეუბრალებელათ გასრისოთ ყველა, ვინც კი თქვენთვის იარაღის აყრას მოინდომებს"-ო.

ამ ნაირათ ბალშევიკებისთვის ცილი დაუწამებიათ, მათ თურმე არც კი უფიქრიათ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებაზე. გვიკვირს ბალშევიკებს როგორ გააფიწყდათ, რომ სულ რამდენიმე დღის წინათ აცხადებდა ბ. შაუმიანი იმავ „კავკაზსკი რაბოჩი"-ს ფურცლებზე—საგანგებო კომისარი ვარ და ყველამ მე მომმართოსო. ბალშევიკებმა არა ერთი და ორი მოწოდება დასწერეს ამის შესახებ და დღეს ეშელონებს არწმუნებენ—ჩვენ არც კი გვიფიქრია დიქტატურაზეო.

რა ანდერძით ისტუმრებენ ბალშევიკები ეშელონებს?

„გზა და გზა მოსპეთ ყველაფერი, რაც წინ გადაგეღობოთო“.

ასე ანვითარებს „პროლეტარიატის და ულარიბეს გლეხობის პარტია“ ისედაც გაბოროტებულ მიმავალ ეშელონებს: თუ ეშელონებმა ეს „ქადაგება“ შეითვისეს, საკმაო იქნება გზაზე რამდენიმე ყიჩაღის დაცემა, რომ ბოლშევიკების ლოცვა-კურთხევით ეშელონებმა მთელი სოფლები აარხონ.

* * *

ბოლშევიკური „ბრძოლა“ ეხება კრილენკოს მიერ „ომის გათავებას“ და ასე ბრძნულათ გვიხსნის ამ ამბავს:

„რუსეთის პროლეტარიატი დღეიდან გერმანიის პროლეტარიატის სისხლს აღარ დაღვრის, ვისაც არ მოსწონს ამ წესით ომის გათავება, მან უნდა დაამტკიცოს, რომ საჭიროა ეს სისხლის ღვრა, საჭიროა გერმანია-ავსტრიის პროლეტარებმა კვლავ ერთმანეთის სისხლი ღვარონ“.

„ბრძოლა“-ს, მაშ მოსწონს „ამ წესით ომის გათავება“. რა წესია ეს წესი? იარაღის დაყრა და დამორჩილება. მერე მისთვის გამოგვიჭედეს ყურები ზავის საქმე მოვაწყვეთო. „ბრძოლა“-ს ტყუილა გონია, რომ მისი ლათაიებით პროლეტარებმა ერთმანეთის სისხლი არ უნდა დაღვარონ ვინმეს შეცდომაში შეიყვანს. ამ ვაჟბატონებს სასურველათ მიაჩნიათ შინ სისხლის ღვრა, წერეთელს და ჟორდანიასაც კი არ ინდობენ, ამავე დროს ვითომდა გერმანიის პროლეტარიატზე ზრუნავენ. მათ ხომ ვილჰელმთან დაიწყეს მოლაპარაკება ბრესტში, პროლეტარიატს ზურგი აქციეს და ახლა პილატესავით ხელები დაიბანეს. ბოლშევიკების მოქმედებიდან ერთი რამ ცხადია: მათ ფარული ხელშეკრულება დასდეს გერმანიის მთავრობასთან, რუსეთი მის საწიწკნათ დასტოვეს და თანაც ფარისევლურათ გაიბუტენ გერმანიის ზავის პირობებს ხელს ვერ მოვაწერთო.

ისტორია არ დაივიწყებს მათს დემაგოგიურ და მოღალატურ მოღვაწეობას.

## ზავი ოსმალეთთან

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 1 თებერვლის კრებაზე ოსმალეთთან ზავის შესახებ შემდეგი დაადგინა.

1) ძირითად დირექტივებს და ზავის პირობებს იმუშავებს ამიერ-კავკას. კომისარიატი. 2) ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უნდა აირჩიოს კომისია, რომელიც დანიშნულ ვადეზე ოსმალეთს ამიერ-კავკასიის კომისარიატის პასუხს შეატყობინებს. 3) ამიერ-კავკასიის კომისარიატმა უნდა აირჩიოს კომისია, რომელიც გამოარკვევს ზავის დებულებებს და შეკრებს მასალას მოხსენებისთვის, რომელსაც ამიერ-კავკასიის კომისარიატი გააკეთებს სეიმის წინაშე. 4) ამიერ-კავკასიის კომისალიატმა უნდა იკისროს ოსმალეთთან წინასწარი მოლაპარაკების დაწყება დრო და ადგილის და დელეგაციის შემადგენლობის შესახებ.

ყველა ეს კომისარიატმა აცნობა ვეხიბ ფაშას.

---

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა ერზერუმში ოდიშელიძეს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „გთხოვთ შეატყობინოთ ოსმალეთის ჯარების სარდალს შემდეგი: „უფალო გენერალო! ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით მე თქვენ შეგატყობინებთ, რომ ზოგიერთ გარემოებების გამო ჩვენ საბოლოო პასუხს სამი კვირის შემდეგ შეგატყობინებდით. დღეს ამიერ კავკასიის მთავრობა მზათ არის შეუდგეს საზავო მოლაპარაკებას. ძირითად დირექტივებს და ზავის პირობებს შეიმუშავებს ამიერ-კავკასიის სეიმი, როგორც მთელი ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შეიკრიბება 10 თებერვალს. გატყობინებთ რა ამას, უფალო გენერალო, გთხოვთ სასწრაფოთ გვაცნობოთ დელეგაციის შემადგენლობა, და მოლაპარაკების დრო და ადგილი. ჩვენი წარმომადგენლების შემადგენლობას ამ დღეებში გაცნობებთ. გარწმუნებთ, უფალო გენერალო, რომ ამიერ კავკასიის მთავრობას სურს მშვიდობიანი და კეთილი განწყობილება ჰქონდეს ოსმალეთთან და იმედი გვაქვს ჩქარა დავასრულებთ სამშვიდობო მოლაპარაკებას, რომ ორივე მხარე დაკმაყოფილებული იქნეს.

გთხოვთ კეთილ ინებოთ და პასუხი შეგვატყობინოთ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი.

## სამოქალაქო ომი

კავკავი. 25—31 იანვარს მოზდოკში შესდგა საბჭოთა საოლქო ყრილობა. მონაწილეობა მიიღეს ყაბარდოელების, ოსების, ყაზახების და სხვების წარმომადგენლებმა.

შეჰრეს ბლოკი სახალხო სოციალისტებიდან ბოლშევიკებამდე ყველა სოციალისტურმა პარტიებმა.

ზოგიერთ ბოლშევიკურათ მოაზროვნე ყაზახთა ჯარების ნაწილებს უნდოდათ დაედგინათ ომი გამოეცხადებიათ ინგუშებისა და ჩაჩნებისთვის და ამით გაუთავებელი სისხლის ღვრა გამოეწვიათ, მაგრამ ველარ გაიტანეს, — სოციალისტურმა ბლოკმა დაადგინა დემოკრატიული ზავი შეჰკრას.

მიიღეს ზავის ფორმულა. გაგზავნეს ინგუშებთან და ჩაჩნებთან დელეგაცია, რომელშიაც შედიან ყაბარდოელების, ყაზახების, მუშების და გლეხების წარმომადგენელნი. მოლაპარაკება ინგუშებთან კარგათ მიდის.

ყრილობამ სამშვიდობო წინადადებით მიმართა თერგის ოლქის ყველა მცხოვრებთ. ზავის დეკლარაცია ეხება მიწის, მუშათა, მთავრობის და სურსათის საკითხებს.

ყრილობის სესია შესწყდა 15 თებერვლამდე, ე. ი. პიატიგორსკში მოწვეულ ყრილობის გახსნამდე, სადაც უნდა შესდგეს მთავრობა. ჯერ-ჯერობით გადასწყვიტეს შეადგინონ კავკავში სახალხო ინტერნაციონალური საბჭო.

სოციალისტური საბჭო იწვევს ნაციონალურ საბჭოების წარმომადგენლებს.

გადაწყვეტილია წინადადება მისცენ თერგ-დაღესტნის მთავრობას გადადგეს და სახალხო საბჭოს მთავრობა აღვიაროს.

---

იალტა და მის ახლო-მახლო მდებარე ქალაქები თათრებმა დაიკავეს. ბოლშევიკები გარბიან.

---

სიმფეროპოლში თათრებმა დაატყვევეს 200 მატროსი.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე

ულუხანლუდან ჯულფა-ბაქოს რკინის გზის უფროსი შემდეგს ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: გამოირკვა, რომ სომხებსა და თათრებს შორის ნაციონალური ბრძოლა მწვავდება, თანდათან ფართო ხასიათს იღებს. სადგ. ულუხანლუსა და ნორაშენს გარშემოერტყენ თათრები სომხების ამოსაჟლეტათ, რომლებიც ვაგონებიდან იგერიებენ მოწინაამდეგეებს. მოსამსახურეების მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია, ვინაიდან სომხები სდებენ მათ ბრალს, რომ დარაჯებათ დააყენეთ თათრებიო, თათრები კი თავის მხრით იმაში სდებენ მოსამსახურეებს ბრალს, რომ მათ ხელი შეუწყვეს სომხებს გადმოეყვანათ თავის ძალებიო. ულუხანლუს მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს ხვალიდანვე გაშორდენ სადგურს, გარდა რამდენიმე კაცისა, რომელთა დარჩენას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მოსამსახურეების მიერ ულუხანლუს მიტოვება ნიშნავს მთელ ჯულფის რკინის გზაზე მოძრაობის შეჩერებას. მოსამსახურეების თხოვნა გამოეგზავნათ ნეიტრალური დამცველები, უყურადღებოთ დასტოვეს. ხვალ მივიღებთ ყოველივე ზომებს, რომ აღვადგინოთ მოძრაობა მე-53 ვერსზე დაზიანებულ ხიდთან, მაგრამ თუ ხიდის შეკეთების ნება არ მოგვცეს ან საჭირო საშუალებები არ აღმოგვიჩნდა, კამარლუსა და ჯულფას შუა მოსამსახურეები და წამოსვლის მსურველები ისევ ჩავარდებიან უმწეო მდგომარეობაში.

---

ულუხანლუ. მესამე დღეა გრძელდება ბრძოლა სომხის ჯარისა და მუსულმანებს შორის. მუსულმანების განცხადებით ულუხანლუ დიდი ბრძოლის ასპარეზათ გადაიქცევა.

## კავკასიის ფრონტი

1 თებერვალი, ნაშუადღევის 3 საათი. იმ ძალადობის გამო, რომელიც მართლაც მოახდინეს მუსულმანებზე ერზინჯანში, და აგრეთვე სხვა ძალადობის გამო, რომელსაც ვითომ ჰქონდა ადგილი არდოსისა და ბაიბურთის რაიონში, ოსმალეთის ჯარის მთავარსარდალმა ფერიკ ვეხიბ-ფაშამ აცნობა კავკასიის ჯარის უფროსს, რომ მან გასცა ბრძანება წამოსწიოს წინ ოსმალეთის სამხედრო ნაწილები მუსულმანთა დასაცავათ. ამის საპასუხოთ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი აცნობებს ფერიკ ვეხიბ-ფაშას, რომ მის მიერ მიღებული ცნობები მუსულმანების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის შესახებ მეტათ გაზვიადებულია, და რომ ნაწილობრივი გამოსვლები გამოიწვია სომხებზე და ჩვენი ჯარის უკანა ნაწილებზე ქურთების თავდასხმამ, რომელიც დღემდისაც არ შეწყვეტილა. ამიტომ კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი სთხოვს ფერიკ ვეხიბ-ფაშას შესცვალოს თავის გადაწყვეტილება და ნუ წამოსწევს სამხედრო ნაწილებს ჩვენ მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე და თუ უკვე არის გაცემული ბრძანება და ჯარები მოდიან, გააუქმოს ეს ბრძანება და ჯარები უკან გაიწვიოს.

## ამიერ კავკ. კომისარიატის მოწოდება მცხოვრებლებისა და ჯარისკაცებისადმი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მოქალაქენო!

ბოლშევიკების და მათი მეთაურის სახალხო კომისრების საბჭოს გაკოტრებამ უკვე უმწვერვალეს წერტილს მიაღწია!

სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე ტროცკიმ გამოაქვეყნა დეკრეტი, რომ „საზავო მოლაპარაკება გათავდა“. აქედან შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სახალხო კომისრების საბჭომ მართლა შეკრა უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ცენტრალურ სახელმწიფოებთან, როგორც ამას ჰპირდებოდენ ხალხს ბოლშევიკები.

მაგრამ, როგორც დეკრეტი ამბობს, გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ მოინდომა იმ მიწების დაპატრონება, რომლებიც იარაღის ძალით ხელში ჩაიგდეს, ამიტომ სახალხო კომისარების საბჭომ უარი სთქვა ზავის ასეთ პირობებზე ხელის მოწერაზე და გამოაცხადა, რომ გერმანიასთან, ავსტრო-უნგრეთთან, ოსმალეთთან და ბულგარეთთან ომს სწყვეტს.

ამ გვარათ ბოლშევიკები სეპარატიულათ მოქმედებენ. რაკი ვერაფერი ვერ გააწყვეს მთელი მსოფლიოს წინაშე გამომაზეურეს თავიანთი უძლურება და იძულებული არიან აღვიარონ, რომ იგინი ნებას აძლევენ მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს, როგორც სურთ ისე მოგვექცენ ჩვენ.

ასეთი სამარცხვინო საქმე არც ერთ ხალხის, არც ერთ სახელმწიფოს ისტორიას არ ახსოვს.

ბოლშევიკები გაკოტრდენ რუსეთში, მოატყუეს ხალხი. არ მისცეს მას არც ზავი, არც პური, არც მიწა, არც თავისუფლება, გარეკეს რუსეთის ერთათ ერთი პატრონი დამფუძნებელი კრება. მათ ძმათა სისხლში ჩაახრჩვეს სისხლით მოპოვებული თავისუფლება და ეხლა უნდათ აქ კავკასიაში მოახდინონ ძმათა ომი და მათი სისხლით მორწყონ კავკასიის მიდამოები. ჯერ კიდევ გასული წლის 18 დეკემბერს ეგრეთ წოდებულ სახალხო კომისარების თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინმა გამოსცა ბრძანება კავკასიის საქმეთა საგანგებო კომისრათ ბოლშევიკ შაუმიანის დანიშვნის შესახებ.

შაუმიანი მალავდა ამ დეკრეტს და გამოაქვეყნა ეხლა, როცა მას იმედი აქვს დაეყრდნოს გამვლელ ეშელონების რეალურ ძალას, რომ მთავრობა ხელში ჩაიგდოს.

ამ მიზნით შაუმიანი და ბოლშევიკები არავითარ საშუალების წინ არ იხევენ მათ უნდათ ფრონტიდან წამოსული განაწამები ჯარისკაცები შეატაკონ კავკასიის რევოლიუციონურ დემოკრატიას და მათი სისხლით შეღებონ თფილისის ქუჩები.

იგინი საიდგანღაც დებულობენ აუარებელ ფულს, რომელსაც უკანტროლოთ ხარჯავენ და საზიზღარ პროვოკაციულ ფურცლებს სცემენ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი მოუწოდებს მცხოვრებლებს მედგრათ იდგენ თავიანთ რევოლიუციონურ ადგილებზე და არავითარ პროვოკაციის ანკესზე არ წამოეგონ. ახსოვდეთ, რომ ანარქიას, რომლის გამოწვევაც ბოლშევიკებს უნდათ, შეუძლია ერთა შორის შეტაკება გამოიწვიოს.

ამხანაგო ჯარისკაცებო! თქვენც გაფრთხილდით და არ დაუჯეროთ ბოლშევიკების პროვოკაციულ მოწოდებას. გახსოვდეთ, რომ ამიერ კავკასიის კომისარიატი ყოველ ზომებს მიიღებს, რომ თქვენ მშვიდობიანათ და უვნებლათ გაემგზავროთ თქვენ სახლებში.

გეშინოდეთ არ დაიღვაროს ძმათა სისხლი, რომელსაც საშინელი შედეგი მოჰყვება.

ამიერ კავკასიის კომისარიატმა კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორს მთელი თავისი უფლებები გადასცა.

ამიერ-კავკასიაში რევოლიუციონურ წესრიგის დ მშვიდობიანობის დასაცავათ ის ენერგიულ ზომებს მიიღებს.

ამიერ-კავკასიის კომისარიატი.

## ახალი ამბები

**სიმინდის ფქვილი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარე ს. დანდუროვი, რომელიც გაგზავნილი იყო ეკატერინოდარში სასურსათო ყრილობაზე იუწყება, რომ ჩრდილო კავკასიაში ბოლშევიკების აჯანყების გამო სასურსათო საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია. ვინაიდან ხორბლის შეძენა შეუძლებელია, თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს აზრათ აქვს იყიდოს ჩრდილო კავკასიაში სიმინდი, რომლის ფასმა 12 მანეთიდან 6—7 მანეთამდე დაიწია. მთავარ საწყობ პუნქტათ გაზრახულია ყაზბეგი, საიდანაც თფილისში სისტემატიურათ უნდა იქნეს შემოტანილი სიმინდი. ამ საქმის მოსაწყობათ ჩრდ. კავკასიაში გაგზავნილია აგრონომი დალაქოვი.

**მდგომარეობა გორის მაზრაში.** ხაშურიდან ცნობა მოვიდა, ბნელი ძალები დაეცენ სამხედრო იარაღების საწყობს და მოინდომეს მისი გაძარცვაო. როგორც სჩანს, მდგომარეობა გორის მაზრაში თანდათან რთულდება. ამის გამო რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა ყრილობამ დაადგინა გაიგზავნოს უკან თფილისში ჩამოსული ხაშურისა და გორის რაზმი. ამასთანავე გორის მაზრაში ყრილობამ გაგზავნა დელეგაცია, რომელშიაც შედიან ვლასა მგელაძე, ვლ. ჯიბლაძე და გ. ცინცაბაძე.

**სურსათი.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დაადგინა გადადებულ იქნას 5 მილიონი მანეთი ჩრდილო-კავკასიაში სურსათის შესაძენათ.

**დაწესებულებათა გაუქმება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 24 იანვრის დადგენილების თანახმათ მიმართა ყველა სამხედრო-საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შტატების შემცირებისა და ზოგიერთ დაწესებულებათა გაუქმების მოთხოვნით.

**ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭო.** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა 3 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: ეროვნებათა საერთო სამხედრო საბჭოს ყველა დადგენილებები ჯარების ნაწილთა შედგენის თუ დაშლის შესახებ შედის ძალაში მხოლოდ ამიერ-კავკასიის კომისარიატის ან სეიმის დასტურის შემდეგ. ამისთვის წინადადება მიეცეს აღნიშნულ საბჭოს, რომ მან ყველა თავისი დადგენილებები წარუდგინოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს დასამტკიცებლათ.

**პაგონების ახდა.** კავკასიის ჯარის მთავარსარდალის მოადგილის ბრძანების თანახმად ყველა სამხედრო პირებმა უნდა აიხადონ პაგონები, სანამ დაწესებული არ იქნება სამხედრო პირთათვის ტანისამოსის ახალი ფორმა.

**საფუთო გადასახადი.** საოლქო ყრილობის დადგენილების თანახმათ ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტმა შუამდგომლობით მიმართა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომ შემოღებულ იქნას ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში საფუთო გადასახადი.

**გორის მაზრაში ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებმა,** რომლებიც თავის თავს ბოლშევიკებს უწოდებენ შეადგინეს „სარევოლიუციო კომიტეტი“, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული თავადების და მემამულეთა ამოჟლეტა. როგორც ქართულ ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, უკვე მოუკლავთ თავ. გიორგი ვეზიროვი, ძმები ხერხეულიძეები და სხვ.

**ფოთის ქალაქის თვითმართველობამ** 22 იანვრის სხდომაზე დაადგინა შევიდეს კავკასიის ქალაქთა კავშირში. ანალოგიური დადგენილება იქნა გამოტანილი აგრეთვე სამტრედიის ქალაქის თვითმართველობის მიერ.

**მკვლელობა.** 3 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, დავით თოფჩიაშვილის დუქანში (ოქროყანას ქ. № 11) შესულა პეტრე იუზბაშევი და მოუთხოვია ფული. მედუქნეს ფული არ აღმოაჩნდა, რისთვისაც იუზბაშევს თოფჩიაშვილისთვის ცემა დაუწყია. ამ დროს წამოსწრებია ჯარისკაცი დ. ტომარაძე და იუზბაშევი იქვე მოუკლავს.

**ტუსაღების გაქცევა.** შაბათს, 3 თებერვალს თფილისის საგუბერნიო ციხიდან გაიქცა რამდენიმე ტუსაღი. დადევნების დროს მოკლეს ერთი წითელ გვარდიელი, ტუსაღები კი მიიმალენ.

**პაგონების ახდა.** 2 თებერვალს ბარიატინსკის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლთან და ქალაქის სხვა ნაწილებში გამოჩნდენ ჯარისკაცთა ტანისამოსში გამოწყობილ პირთა ჯგუფები, რომლებიც აგლეჯდენ პაგონებს სამხედრო პირებს. ნაციონალურ ნაწილების ჯარისკაცთა და წითელ გვარდიელთა დახმარებით ამ მოვლენამ უხიფათოთ ჩაიარა. ეხლა აფიცერთა უმეტესობა უპაგონოთ დადის ქალაქში.

**ამიერ-კავკასიის სეიმის მომწვევ** ბიურომ მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, რათა მან უშოვოს ბიუროს ქალაქის ცენტრში სახლი, სადაც მოეწყოს სეიმის დეპუტატების საერთო საცხოვრებელი ბინა.

**ქართული ოპერეტკა.** დღეს 6, თებერვალს, ხელოსანთა კლუბში (მიხ. პრ.) წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედებიანი ოპერეტკა „არში-მალ-ალან“.

**სურსათი.** 4—5 თებერვალს თფილისში შემოიტანეს 7 ვაგონი ხორბალი და ერთი ვაგონი კარტოფილი.

### კრებები და მიტინგები.

— დღეს, საღამოს 6 ს., სასახ. წითელ დარბაზში დანიშნულია მუშათა სექციის აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

## შთაბეჭდილებანი

(ნახული და გაგონილი)

3

ბ ა ქ ო შ ი.

შამქორის ომმა ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა მთელ დელეგაციაზე, თითქოს ყველა შეგვბოჭა ერთმა აზრმა, ერთმა მისწრაფებამ, რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება, რომ ასეთ უსაზღვრო ანარქიას ბოლო უნდა მოეღოს; რომ შინაურ ფრონტზე ომი—ეს ისეთი საშინელებაა, რომლის წინაშე არაფრათ გამოჩნდება თვით უსასტიკესი სისხლის მღვრელი ომი გარეშე ფრონტზე. როცა მტერს ებრძვი, იცი, საით არის ის, და საით ხარ შენ. და იცი, რომ უნდა ებრძოლო. შინაურ ფრონტზე არ იცი არც ერთი, არც მეორე. შამქორზე ჩვენ ყოველ მხრიდან გვესროდენ, წინ გვიდგა მტრული რაზმი, უკან მოგვდევდა ტყვიის ზუზუნი. მარჯვნივ და მარცხნივ თხრილებში იჯდენ ჩასაფრებულნი და ერთი სანგრიდან მეორეში ინაცვლებდენ, რომ მატარებელს არ ჩამორჩენოდენ. არ ვიცოდით წინ წასვლა სასარგებლო იყო, თუ უარეს ხიფათს გვიქადდა. არ ვიცოდით, უკან დაბრუნება გადაგვარჩენდა ამ შემაძრწუნებელ საშინელებას თუ სულ ერთიან მოგვისპობდა გამოსავალ საშუალებას. ვიყავით მომწყვდეული როგორც თაგვი ხაფანგში, და აქეთ იქით ვეხეთქებოდით. ჩვენ, დელეგაციას, ამასთანავე არ გვქონდა საშუალება გავცლოდით ჯარს. მაზე ვიყავით მიჯაჭვული. გვინდოდა, თუ არა უნდა მათი ბედი გაგვეზიარებია, გავძღოლოდით მათ და ან გადაგვერჩინა ისინიც ან მათთან ერთათ გავმხდარიყავით მსხვერპლი გაბოროტებული, თავზე ხელაღებულ ბრბოს ანგარების.

აი ამ ხიფათის შეგნებამ შებოჭა ჩვენი გონება. ყოველი კაცი, ყოველი მოქალაქე, ვინც უნდა ყოფილიყო იგი, გვეგონა, ამ საქმეში ჩვენსავით იგრძნობდა საშინელ საფრთხეს და ყოველ ზომას მიიღებდა შემდეგში მაინც ასეთ მოვლენების თავიდან ასაცდენათ. სრულიად გადაგვავიწყდა ადამიანის ბუნება. დაგვავიწყდა, რომ კაცი კაცისთვის მგელია, რომ კლასიური, ფრაქციული და ეროვნული ინტერესები აქაც კი წამოყოფდენ თავს და ამ საკითხსაც სადაოთ აქცევდენ.

ჩვენთვის ამ კითხვამ საერთო აქსიომის, თვალსაჩინო, უდაო დებულების ხასიათი მიიღო. ყველანი ერთხმათ ვიმეორებდით: უნდა ბოლო მოეღოს ამ საშინელებას, უნდა დაუყონებლივ მიღებულ იქნეს ზომები, რომ არ განმეორდეს ის იმ ეშელონების მიმართ მაინც, რომელნიც ჩვენ შემდეგ გამოივლიან. 50-ზე მეტი მკვდარი და ორასზე მეტი დაჭრილი სალდათი საკმაო მსხვერპლია, რომ ადამიანმა შესაფერი გაკვეთილი მიიღოს. ჩვენზე წინ ხომ რამდენიმე ასეული შეუწირავს ამ უაზრო ავანტიურას.

აფხაზავას ჯავშნიანი მატარებელი იდგა ჩვენ თვალწინ, როგორც განხორციელება ამ ავანტიურის, როგორც დასაბამი ტრაღედიის, რომელიც შამქორის ნაპირებზე დატრიალდა და ჩვენ ერთი მხრით გვიხაროდა კიდეც, რომ ის მატარებელი დაიმსხვრა, რომ მისი ავანტიურისტი ხელმძღვანელი მას გადაჰყვა და ახალ უბედურებას აღარ დაუმზადებს ამიერ-კავკასიას და ფრონტიდან მომავალ ჯარს.

დამალვა რა საკადრისია და ჩვენ შორის არა ერთი იყო იმის მომხრე, რომ ჯანჯლებისთვისაც „ჰკუა გვესწავლებია“. ზოგიერთები შესაფერ აგიტაციასაც კი ეწეოდენ ჯარში, მარა უნაყოფოთ. ჯარისკაცთ შინ მიეჩქარებოდათ და განჯის დასჯა, ან სამართლიანობის საკითხი ოდნავ არ აინტერესებდათ. ისინი იბრძოდენ, სანამ მათ გზაზე ეღობებოდა მტრული ძალა და წინსვლას უშლიდა. იგინი მოლბენ რა კი გზა გახსნილი დაინახეს.

ჩვენ დელეგაციის წევრებში, საბოლოოთ გაიმარჯვა იმ საღმა მოსაზრებამ, რომ ჩვენ ვართ არ მეომართა შტაბი, არა დამსჯელი ექსპედიციის წევრნი, არამედ უბრალო მოქალაქენი, რომელნიც უნებურათ გავხდით ჩაბმული ამ დავიდარაბაში, და მაშასადამე, უნდა ვეცადოთ კონფლიქტის როგორმე დათავებას. მაგრამ თუ განჯის თათრები, ავაზაკურათ რომ დაგვიხვდენ გზაზე, ჩვენგან მიუღებელ პირობებს წამოაყენებდენ, ჩვენ გადავწყვიტეთ გვესარგებლნა მთელი ჩვენი გავლენით და იარაღით გაგვეკაფა გზა...

საერთოთ კი ჩვენი სურვილი იყო ამ კონფლიქტის დათავება და შემდეგში ისეთი პირობების შექმნა, რომ ასეთი ამბების განმეორება შეუძლებელი ყოფილიყო.

აი ეს აზრები გვიტრიალებდენ თავში, როცა განჯის სადგურს გავცდით და მატარებელი თავისუფლათ მიგვაქანებდა ბაქოსაკენ.

ჩვენს აზროვნებაში ბაქო ის პირველი პოლიტიკური ცენტრი იყო, სადაც ჩვენ შეგვეძლო საზოგადოებრივი მაჯისცემა გვენახა და ღონისძიება შეგვემუშავებია ჩვენი წრფელი განზრახვის განსახორციელებლათ. ბოლშევიკები არიან ბაქოში, ე. წ. რევოლიუციური საარმიო საბჭო, რომელიც თფილისში გამოეყო საარმიო საბჭოს, არის ქალაქის საბჭო მუსულმანთა უმრავლესობით, სულ ერთია ვამბობდით ჩვენ, მივალთ და ვეტყვით ამ ბოლშევიკებს, ამ „მუსავატისტებს“, ვეტყვით ყველას, ვისაც საზოგადოებრიობა სწამს, ვინც მოქალაქობრივ ცხოვრებაში ფეხჩადგმულია, რომ განჯის გარშემო ჯოჯოხეთი ტრიალებს. გადავცემთ ნახულს და განცდილს, ისინი გაიგებენ ამ მდგომარეობის მთელ ტრაგიზმს, ისინი მიიღებენ შესაფერ ზომებს. ჩვენც წარვადგენთ ზოგიერთ ჩვენ მოსაზრებებს.

და აი ჩვენ, მთელი დელეგაცია, ვსწყვეტთ: დაე დაგვავიწყდეს სასურსათო ყრილობაზე, დაე დამშეული დარჩეს ზედმეტათ ერთი ორი დღით მცხოვრებლები, მარა ამ უაზრო და უგნურულ ჟლეტას, ამ რეაქციის ნამდვილ დედაბოძს მოენახოს წამალი. ჩვენ ყველანი მოვიხდით მოქალაქობრივ მოვალეობას.

გავმართეთ თათბირი, რომ უნდა გადავსცეთ ბაქოელთ ჩვენი თავგადასავალი, ეს ეჭვს გარეშეა, მარა იქნება ტეხნიკურათ, რკინის გზის პირობებმა შეუძლებელი გახადოს ყველას დარჩენა ბაქოში, იმ შემთხვევისთვის საჭიროა რამდენიმე პირი მაინც დარჩეს. და გვინდა ავირჩიოთ. მარა დგება ერთი მ. და აცხადებს: ყველანი რომ წახვიდეთ, მე მაინც დავრჩები, მე უნდა გადავცე პარტიას, ამხანაგებს, რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, რომ შამქორში რეაქციის შავი გველეშაპი დაბუდებულა. ამასვე იმეორებს მეორე, მესამე,—მეც ვერ ვსცნობ შესაძლებლათ ბაქოში ჩაუსვლელობას. მე უფრო მაფიქრებს რომანტიზმი ზოგიერთების. ისინი ისე გაიტაცა ამ ღრმა საფრთხის განცდამ, რომ არ ჰგონიათ, თუ სიტყვას ვინმე შეუბრუნებს. მათ იმედი აქვთ თვით რასკოლნიკ ბოლშევიკების, იმედი აქვთ მუსავატისტების. სიმართლე გითხრათ, ერთხანს მეც კინაღამ გამიტაცა ამ „კაცობრიულმა“ აზრმა. მარა მალე გამოვერკვიე, დავსძლიე მოზღვავებული ჯარი განცდათა და ვიანგარიშე, რომ ის, რაც ჩვენ განვიცადეთ, ბაქოელთ არ გამოუცდიათ, რომ იმათთვის ეს პოლიტიკური მოვლენაა, რომელსაც პოლიტიკურ თვალსაზრისით გაზომავენ და პოლიტიკურ მიზნით გამოიყენებენ.

ამხანაგებისთვის საჯაროთ ეს აზრი არ გამიზიარებია. ღრმათ მრწამდა არ დამიჯერებდენ. მხოლოდ ორიოდე პარტიულ ამხანაგს გავანდე, ისიც გაკვრით. მათაც კვერი დამიკრეს და მეც იმ დელეგაციაში მოვხვდი, რომელიც უეჭველათ ყოვლის მიზეზის გარეშე უნდა დარჩენილიყო ბაქოში.

ბალაჯარამდე ერთი ღამე კიდევ გავატარეთ. და როცა 13 იანვარს ამ სადგურს მივადექით, გამოირკვა, რომ ვლადიკავკავის გზაზე მატარებლები თითქმის ნორმალურათ დადიან.

ამან გადასჭრა საკითხი: ყველანი ბაქოში გავემგზავრეთ. და რომ ეშელონებს არ გაესწრო და გზა არ გაეფუჭებია სადმე ომში გახვევით, ზოგიერთი ზომები მივიღეთ მათ გასაჩერებლათ ბალაჯარაში ჩვენ ჩამობრუნებამდე.

გვინდოდა მათთვის წინ გაგვესწრო და ასე ბაქოდან მაინც გადავერჩინოდით სტრატეგიაზე ზრუნვას. უბრალო მოქალაქეებათ, მშვიდობიან სასურსათო დელეგატებათ დარჩენა მოგვაწყურა სამი დღე-ღამის განმავლობაში უჩვეულო როლში ყოფნამ.

არც ჩვენი პირდაპირი მიზნისთვის მიგვაჩნდა სასარგებლოთ ჯართან მოგზაურობა. მათთან ჩვენ არსებითი ტყვე ვიყავით. ჩვენ კი თავისუფლება გვესაჭიროებოდა. ასე იყო, თუ ისე ჩავედით ბაქოში.

წინდაწინვე შევეცადეთ გადაგვეცა ამხანაგებისთვის, ჩვენი ჩასვლის მიზანი.

გამოირკვა, რომ იმ დღეს მუშათა საბჭოს ქონდა სხდომა დღისით და საღამოს კი ქალაქის საბჭო უნდა შეკრებილიყო. უკეთესს ვერც კი ვისურვებდით რამეს.

ჩემი პირველი აზრი იყო—მენშევიკების ნახვა და მათთვის ცნობების გადაცემა, რომ ისინი მზათ ყოფილიყვნენ გამოსასვლელათ. ველოდი, რომ თფილისელ ორგანიზაციებს და კომისარიატს დაუწყებდენ ბღვნას შამქორის თათრების მაგიერ. და მინდოდა ადგილობრივ ამხანაგებს შეძლება ქონოდა შესაფერი პასუხის გაცემის, მინდოდა საერთოდ ისინი ჩვენი მისიის შესრულებაში დაგვხმარებოდენ.

ჩემში რომანტიზმს უკვე აღარ ქონდა ადგილი და ასეთი დახმარება „მტრულ“ ბაქოში ზედმეტად არ მიმაჩნდა... ჩემი მოლოდინი არც თუ უსაბუთო გამოდგა. მართალია მუშათა საბჭოს სხდომაზე დამიგვიანდა და პირველი მოხსენება ჩემ დაუსწრებლათ გაეკეთებია ამხ. მერხალევს, მაგრამ როცა მე მივედი, მას შემდეგაც ბევრი საყურადღებო დ ღირსშესანიშნავი გავიგე.

როცა მე მივედი კრებაზე, ისევ შამქორის ამბებზე და მერხალევის მოხსენების შესახებ მსჯელობდენ. მარა კილო და აზრი მსჯელობის ისე შორს იყო ჩვენი სულიერი განწყობილებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ვინ არის დამნაშავე ამ საშინელ სისხლის ღვრაში? გრგვინავდა ერთი ბოლშევიკთაგანი. ვინ და ამიერ-კავკასიის კომისარიატი. ეს—მისი უმოქმედობით გაფუჭდა გზა აქსტაფისა და ევლახს შორის. მისი მიზეზით ამხედრდა შეუგნებელი თათრების მასსა რკინის გზის სადგურების დასარბევათ და ჯარისკაცების დასაწიოკებლათ. ძირს კომისარიატი, ეს ბუდე კონტრრევოლიუციის და სხვადასხვა.

აშკარათ ეტყობოდათ, ამ ბრძენ პოლიტიკოსებს ჰპი კომისარიატზე ქონდათ მიჰრილი და მისი სალანძღავი მასალის მეტი ვერაფერი დაენახათ ამ საშინელ ტრაგედიაში. თათრის მასსის ინტერესები მოითხოვენ მემამულე ბეგების წინააღმდეგ ამხედრებას, ეს უნდა გახდეს მათი მიზანი, ამბობდა მეორე, და თუ ეს არ ხდება—დამნაშავეა კომისარია-

## ამხ. მიხო ბრეგვაძე

7 ამ თვეს შესრულდება ერთი წელიწადი, რაც შორეულ ციმბირის ერთ მიყრუებულ ქ. ბოდაიბოში გარდაიცვალა რ. ს.-დ. პ.-ის, ბაქოს ორგანიზაციის წევრი—მიხო ბრეგვაძე.

არიან პიროვნებები, რომლებიც შეუმჩნეველი რჩებიან, მაგრამ სწორეთ ეს ჩუმი პიროვნებები ქმნიან რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას, და მიხო ბრეგვაძეც ერთი იმ მუშაკთაგანი იყო.

ხელობით სტამბის მუშა, იგი 1901 წლიდან დაწყებული ერთი ქალაქიდან მეორეში გადადიოდა და აწყობდა საიდუმლო სტამბებს და ბნელ სარდაფებში მუშაობით, ჰფენდა სინათლეს მაშინდელ დროის უკუნეთს. ბევრჯელ იყო იგი დაპატიმრებული. უკასასკნელათ იგი დაპატიმრეს 1907 წელს ბაქოში. 1908-ში მას სხვა ამხანაგებთან ერთად მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება.

უფლება აყრილს ნება არა ჰქონდა ერთი მაზრიდან მეორეში გადასვლის და იგი ნება დაურთველათ მიდის ლენის მაღაროებზე სამუშაოთ. ლენაზე გაფიცვის დროს მას აპატიმრებენ და ერთი წლის ცეხეში ყოფნის შემდეგ ისევ აგზავნიან ეტაპით იმ სოფელში, სადაც იგი მიწერილი იყო და სადაც მას შიმშილით სიკვდილი მოელოდა. იგი არ შეურიგდა ამ აუტანელ პირობებს და ისევ გაიპარა და იქ ახლათ გახსნილ სტამბაში დადგა. აქ იგი ხდება ყვავილით ავათ და ამდენი ტანჯვით დასუსტებული მისი ორგანიზმი ველარ იტანს და კვდება.

მძიმეა ასეთი დანაკლისი ჩვენი პარტიისთვის, მაგრამ უფრო მძიმეა ჩვენთვის—მისი უმცროსი ამხანაგებისათვის.

როცა ციმბირის გრძელ გზაზე, რომელიც მოკირწყლულია თავისუფლებისათვის მებრძოლთა ძვლებით, ჩვენ სუსტებს, ღონე-მიხდილებს ჯარისკაცები კონდახების ცემით მიგვერეკებოდენ, სასოწარკვეთილებაში ჩაცვინულებს, მიხო იქაც თავისი მაგალითით გვამხნევებდა.

საუკუნოთ იქნება ხსენება შენი, ძვირფასო ამხ. მიხო!

ნ. ოთარაშვილი.

## რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა მე-VIII ყრილობა

4 თებერვალს თფილისში გაიხსნა რ. ს.-დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ორგანიზაციათა მე-VIII ყრილობა. დაესწრო 120-მდე დელეგატი. ყრილობა გახსნა სილიბისტრო ჯიბლაძემ. მის გამოსვლას ხანგრძლივი ტაშისცემით და ოვაციებით შეხვდენ. მან მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვით: ჩვენი პარტიის საოლქო კომიტეტის სახელით ყრილობას ვაცხადებ გახსნილათ. დღევანდელი მდგომარეობა, საყურადღებო კითხვების გადაჭრის აუცილებლობა—აი ის მიზეზი, რომელმაც აიძულა თქვენი ხელმძღვანელი ორგანო მოეწვია ყრილობა და იძულებულ ეყავით თქვენ მიგეტოვებიათ ადგილობრივი საჩქარო საქმეები. ეს ყრილობა შეიძლება ჩაითვალოს ოქტომბრის ყრილობის გაგრძელებათ. მაშინ ჩვენ უნდა დაგვესახელებია სრულიათ რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე გასაგზავნი კანდიდატები. მაგრამ დღეს ეს დამფუძნებელი კრება არ არსებობს, იგი ჩაყლაპა ანარქიამ, რომელიც თანამგზავრია ყველა რევოლიუციებისა. ძველი წყობილების დამხობით ისპობა ძველი სახელმწიფოებრივი აპარატიც. ახალის შექმნა კი არ არის ადვილი. განსაკუთრებით რუსეთში გახდა ძნელი ახალის შექმნა. ამის გამო გაძლიერდა ანარქიის სულის ჩამდგმელი პარტია. ლენინის ჩამოსვლის შემდეგ ანარქიამ ფრთები გაშალა. გათიშვის დიდი ხელოვანმა, განხეთქილების მოციქულმა, ბოროტმა გენიოსმა მოინდომა საშინელი ექსპერიმენტები მოახდინოს რუსეთზე. და ის შეუდგა ამ საქმეს მთელის გამოცდილებით. გამოიმუშავა სატანური გეგმა ამ მიზნის განსახორციელებლათ. ეს გეგმა მან ჩამოაყალიბა თეზისებში, რომლებიც გამოაქვეყნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა პირველ თათბირზე. იმ დღიდან დაწყებული ლენინი თავის მომხრეებით მიდიოდა ამ მიზნისაკენ. სინამდვილე თავის მხრით ეგებებოდა ლენინს და როდის მოხდა მათი შეხვედრა, თქვენ კარგათ იცით. ეს იყო ოქტომბრის გადატრიალების დროს, რომელმაც დაასამარა თებერვლის რევოლიუციის მიერ მოპოებული თავისუფლებანი და დაამყარა სახალხო კომისართა საბჭოს თვითმპყრობელობა და ისეთ მდგომარეობაში ჩააგდო რუსეთი, როგორ მდგომარეობაშიც იგი არ ყოფილა თვით ნიკოლოზ რომანოვის თვითმპყრობელობის დროს. ყრილობის მოვალეობაა გამონახოს ამ მდგომარეობიდან გამოსავალი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყრილობა ამას შესძლებს, მე მწამს, რომ თქვენ ხართ არა მარტო გაბედული რევოლიუციონერები, არამედ ბრძენი პოლიტიკოსები. თქვენ იცით, თუ როგორ უნდა გავამაგროთ და დავიცვათ რევოლიუციის მონაპოვარი. გაუმარჯოს თქვენს სიბრძნეს, გაუმარჯოს ტანჯვაში დაბადებულ და ტანჯვაში მყოფ ახალგაზრდა რუსეთს. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები.)

თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი. თავმჯდომარის ამხანაგებათ არმ. ერზიკიანი და რ. არსენიძე. მდივნებათ—ი. სალაყაია და ნ. ჟუმბურიძე. სილიბისტრო ჯიბლაძე და კარლო ჩხეიძე ყრილობამ საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩია.

მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) სეიმი და მისი დანიშნულება; 2) ზავი; 3) ორგანიზაციების მოწყობა სოფლათ; 4) სეიმის დამატებითი დეპუტატების დასახელება.

(შემდეგი იქნება).

## რევოლიუციონური რაზმები მოდიან!

ერთ ალაგს ბალშევიკები, როდესაც ხსნიდენ იმ მოვლენას, რომ ამიერ კავკასია არ მიყვება ბალშევიკების „მუშათა და გლეხთა" მთავრობის პოლიტიკას, ამბობდენ: ამიერ-კავკასია განუვითარებელია, ამიერ-კავკასიის დემოკრატია პოლიტიკურათ მოუმწიფებელია და აი სწორეთ ამით აიხსნება ეს ფაქტიო. რა თქმა უნდა, აქ ისინი ურცხვათ ხელს აფარებდენ იმ დიად რევოლიუციონურ როლს, რომელიც სწორეთ ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ ითამაშა 1905 წლის რევოლიუციის დროს. ფაქტის ასეთი ახსნა სავსებით მათი „რევოლიუციონური" სინდისის საქმეა. მათი ლოღიკა სწორია: მათთვის ბალშევიკობა ყველაფერს ნიშნავს—განვითარებასაც, რევოლიუციონერობასაც და სხვა ყოველგვარ სიკეთეს; არა ბალშევიკობა კი—წინააღმდეგს. მაგრამ, ამასთანავე ეს მსჯელობა სხვას ბალშევიკების გარდა, ცხადია, სრულიათ არაფერს არ ავალებს. ამიერ-კავკასიის დემოკრატია დღესაც შეუდრეკელათ სდგას ძველ ტრადიციულ გზაზე და ბალშევიკებზე უფრო მწყობრათ და სისწორით უღებს ალღოს მდგომარე პოლიტიკურ მომენტს. იგი სისწორით აფასებს ბალშევიკების დამღუპველ პოლიტიკას, მათ ნება-სურვილებს და რევოლიუციის გასამარჯვებლათ საჭიროდ სთვლის, უმთავრეს ნაწილათ, მათ მიერ შექმნილ ანარქიასთან იარაღით ბრძოლას. და აი რევოლიუციონური დემოკრატიაც მოიწევს თფილისისაკენ, მოიწევს, რომ ერთგულ დარაჯათ დაუდგეს მის მიერ არჩეულ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და არავის მისცეს უფლება ფეხქვეშ გასთელოს რევოლიუციით მოპოებული თავისუფლებები. რევოლიუციონური რაზმები მოდიან!.. სამიოდე დღის განმავლობაში თფილისში რამოდენიმე ათასი შეიარაღებული მებრძოლი ჩამოვიდა. ჩამოდიან რაზმები და თან ამბობენ: ხვალ კიდევ მეტი ჩამოვაო.

რას ამბობს ჩამოსული დემოკრატია? ნუ თუ ისინი მართლა „ბურჟუების" მიერ მოტყუებული არიან, როგორც ამას გაკივიან ყოველ ფეხის გადადგმაზე ბალშევიკები? მოვუსმინოთ თვით დემოკრატიას.

2 თებერვალს საღამოს თფილისში ჩამოვიდა 300-მდე კაცი გარეთ კახეთიდან. მათ შორის არიან განურჩევლათ როგორც ქართველები, ისე მუსულმანები. ისინი რევოლიუციონურ სიმღერებით მწყობრათ მიეშურებიან სასახლისაკენ. წინ წითელ დროშებს მიაფრიალებენ... რაზმი მწყობრათ შედის სასახლის თეთრ დარბაზში. აი რას ამბობს ეს „მოტყუებული", „განუვითარებელი" დემოკრატია.

ჩვენ როდესაც აქეთ მოვდიოდით—ამბობს ერთი რაზმელი, ბევრი გვეცინოდა, მეუგნებელათ გვთვლიდა... მაგრამ ჩვენ არც ისე შეუგნებელი ვართ როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. ჩვენ მოვაწყვეთ ჩვენი ორგანიზაციები. შეიძლება მართალია ის, რომ ჩვენ შევცდით და ვერ ავირჩიეთ კარგები. შეიძლება, ეს გეგეჭკორები, ჟორდანიები და სხვები მართლაც არ გამოხატავენ ჩვენს ინტერესებს, არ ზრუნავენ ჩვენზე. მაგრამ ვინ მისცა ვინმეს უფლება ჩვენი არჩეული მთავრობა ჩამოაგდოს ჩვენს დაუკითხავათ. თუ ისინი ჩვენი მტრები იქნებიან, ჩვენ თვით შეგვიძლია ისინი გადავაყენოთო...

მშვენიერი სურათია, როცა უბრალო გლეხი ორატორი ამოიღებს ხურჯინიდან მჭადს და კრებას უჩვენებს.

ჩვენ, როდესაც თფილისში მოვდიოდით—განაგრძობს გლეხი ორატორი,—ზოგიერთები ბურჟუებს გვეძახოდენ. მე არავისთვის მინდოდა ამ მჭადის გამოჩენა. მაგრამ, როდესაც უსინდისოთ მეუბნებოდენ, ბურჟუა ხარო, მე ამოვიღე ეს მჭადი და ვუთხარი, მე ამ მჭადით ვცხოვრობ და მჭადის ამარა დავტოვე შინ ცოლშვილიო.

შინ ცოლშვილი ატირებული დავსტოვეთ... მაგრამ ჩვენ ვიცით უფრო დიდი გაჭირვება, ვიცით რევოლიუციის გასაჭირი და არავის მივსცემთ ნებას, ჩვენი მთავრობა ჩამოაგდოს!—ამბობს მეორე წარმომადგენელი გლეხი.

დიდ შთაბეჭდილებას ახდენს დამსწრეებზე მოხუცებული გლეხი, რომელიც ადის ტრიბუნაზე და რაზმის სახელით ლაპარაკობს. მოხრილი, სრულიად გათეთრებული, იგი რწმენით სავსე უბრალო სიტყვებით მიმართავს დამსწრეებს:

რევოლიუციამ მოგვცა ჩვენ ნამდვილი თავისუფლება... შეიძლება ჩვენ არ მიგვიღია ჯერ ყველა ის, რასაც ჩვენ ველოდით. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ერთ დღეს ყველაფერი არ გაკეთდება... მე მახსოვს 1905 წლის რევოლიუცია, როდესაც მე და ყველა ისინი, ვისაც რევოლიუცია აინტერესებდა, ვინც კი რევოლიუციის დაცვას აპირებდა, სადღაც ტყეში ვიმალებოდით... ჩვენ გვქონდა თოფები და გვინდოდა რევოლიუციის დაცვა, მაგრამ სინათლეზე ვერ გამოვსულიყავით... დღეს კი აქ, ამ სახლში ვართ თავისუფლათ, ამხანაგებო, სადაც მაშინ მხოლოდ ბატონები ცხოვრობდენ ჩვენ გავიმარჯვეთ, როდესაც ჩვენი მეთაურების შემწეობით ჩვენ აქ თავისუფლათ ვგრძნობთ ჩვენს თავს... მე ნადირობა მიყვარდა... „ცენტრალკა" მქონდა... მაგრამ იგი აქ არ წამოვიღე. მე ბედნიერი ვარ, როდესაც ჩემ შვილებთან ერთად აქ მოვედი თავისუფლათ... მე მხოლოდ ჯოხი წამოვიღე, რომლითაც მშვენივრათ ვიბრძოლებ შვილების ბრძოლით გახარებული...

იგი უშველებელ ნიგვზის ჯოხს უჩვენებს დამსწრეებს, რომელნიც მას მხურვალე და ხანგრძლივი ტაშის ცემით აჯილდოვებენ. ამხ. ვ. ჯუღელი აძლევს მოხუცს თოფს და უსურვებს ისე მოეხმაროს, როგორც რევოლიუციონერს შეეფერება. მოხუცი იღებს თოფს და ამბობს:

მე კარგი მონადირე ვიყავი: ვერც ერთი კურდღელი ვერ გამექცეოდა. მე მთელ ძალას მოვიკრებ, რათა ვერც ერთი მტერი ვერ გადაურჩეს ჩემს ტყვიას... მე ვებრძვი მხოლოდ ხალხის მტრებს... ასეთი იქნება ის, ვინც ჩვენი ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას ჩამოგდებას გაუბედავს!..

აი ხალხის ხმა! აი რას ამბობს „შეუგნებელი" დემოკრატია, რომელიც ბურჟუების მიერ „მოტყუებულნი" არიან! ამიერ-კავკასიის დემოკრატია აღსდგა რევოლიუციის დასაცავად. იგი არ იზიარებს ავანტიურისტების პოლიტიკას და ამიტომ იგი არც დამარცხდება. „არ მოკვდება ის ხალხი, რომელიც ასეთ წარმომადგენლებს გზავნის რევოლიუციის დასაცავად",—მოვიყვანთ ამხ. ვ. ჯუღელის სიტყვებს. ამიერ-კავკასიაში რევოლიუციას თვით შეგნებული რევოლიუციონური დემოკრატია უდგება დარაჯად. და მას ბალშევიკების „შტიკების" პოლიტიკა ვერ დაამარცხებს!

მ. ჩ.

## გლეხთა წერილები

ამხანაგო რედაქტორო! ხშირად ვხედავ, რომ ჩემს ძველს მეგობარ და წინამძღოლ გაზეთ „ერთობა"-ში იბეჭდება მუშათა წერილები. მე ვფიქრობ, რომ ეს წერილები ქალაქის მუშებს ეკუთვნის. რა იქნება, რომ სოფლის მუშებმაც—გაყვლეფილმა გლეხებმაც მოვათავსოთ „ერთობაში" ასეთი წერილები? ასე შევეკითხე ჩემს თავს და გულმაც მაშინვე მითხრა: „კარგი იქნება ძალიანო". ამ ხმამ ისე გამათამამა, რომ წამსვე მოვნახე ჩემი დაჟანგული კალამი, რომელიც აგერ ხუთი წელიწადია გაკეთებული მაქვს შავტარიან კალმის ტარზე.

ნუ გაგეცინება, ჩემო რედაქტორო, რომ ხუთი წელია მაქვს ეს კალამი. ან კი რა ჯაფა ადგია, რომ გამოვიცვალო: მოკითხვის წერილების საწერად ან ტირილზე მოსაპატიჟებელ ბარათებისთვის თუ ავაწრიპინებ, თორემ მეტი რა უნდა გამიკეთოს. მე შენ გეტყვი ყანაში გამომადგება სათოხარში!

ვნახე სამელნეც, მარა უბედურობა ისაა, რომ შიგ მელნის მაგიერ ათიოდე ბუზი დამიხვდა ჩამკვდარი. ყიდვა მოვინდომე, მარა ცოლმა მითხრა—რა მწერალი შენ მყავხარ, რომ ამ სიძვირის დროს მელანს ყიდულობ, ისა სჯობია ქვაბს ჯანგარა შემოაცალო და ის გახსნა წყალშიო. ცოლის რჩევა ჭკუაში დამიჯდა და ხელათ გავასტიკინე ჩემი მუშა ჯანგარის მელნით. არც ქაღალდის ძებნამ ჩამიარა მაინცა და მაინც იოლად: რის ვაი ვაგლახით გამოვნახე დაჭუჭნული ქაღალდები—ზოგი მოკითხვის წერილს წავხიე, ზოგი დახსნილ თამასუქს და ცოლის ჩუმათ შევუდექი წერას.

ცოლის ჩუმათქო იმიტომ ვამბობ, რომ არ მინდოდა გავწითლებულიყავი, როცა ცოლი გაიგებდა ჩემ მიზანს და დაცინვით მეტყოდა: სწორეთ გადაბრუნდება ქვეყანა და ესაა შენ და შენისანებმა რო გაზეთში დაიწყეთ წერილების გზავნა, იმიტომაა, რომ იღუპება ქვეყანაო. დიახ, ვიცოდი, რომ ასე შემამკობდა ჩემი მგესლიანი ენის ცოლი და ამიტომ დამალვა ვარჩიე.

ეგ კი არა, ევება შენც-კი გაგეცინოს ჩემი გამწერლება ამ სიბერის დღეს, ჩემო რედაქტორო და ღრეჯით სთქვა: რაღა ახლა აიღო ამ კაცმა ხელში კალამი, ახლობამდის რას შვებოდა მისი მუზაო? შენი თქვი და ჩემიც გაიგონე, ჩემო კეთილო!

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ხომ გაგიგონია, ასეა ჩემი საქმეც: მიჭირს და შენც ამისათვის გაწუხებ.

ქვეყანა რომ აირია და ყველაფერი არივ-დაირივა—ეს ცხადზე უცხადესია. მარა ამას ეშველება რამე, უსათუოდ გაივლის—ასე არ იყო ცხრაას ხუთშიც? მარა უბედურება ისაა, რომ ადამიანების არევას აზრთა არევაც მოჰყვა. სხვას ჯავრი სწერია და მე კი რო ასე მჭირს, ეს რა დასამალავია, ცოდვა გამჟღავნებული სჯობია!

გამოხტებიან ვიღაც ვაჟბატონები და რიხიანათ გაიძახიან:

— წერეთელმა მოატყუა მუშა ხალხი, ჟორდანია ქვეყნის მოღალატეა, ჩხეიძე ხალხის მტერია, გეგეჭკორი ხიშტებზე ასაგებია, ჩხენკელი არ წაიკაროთ სიახლოვესო და ათასი სხვა.

მესმის ეს სიტყვები და თავზარი მეცემა! ღმერთო ჩემო, სად ვცხოვრობ, რომელ სახელმწიფოში? ნიკოლოზის შემდეგ რუსეთში თავისუფალი სახალხო რესპუბლიკა მგონია და განა ასეთი სიტყვები უნდა მესმოდეს? ან ეგების მოვტყუვდი, ეს რევოლიუცია სიზმარი იყო და ისევ ნიკოლოზის დროში ვართ.

აკი მაშინაც ასე არ იყო! აკი მაშინაც არ დევნიდენ ამ პირებს!

წერეთელი მუშა ხალხის ინტერესების დაცვისთვის კატორღაში ყავდათ, ჟორდანიას ციხეებში ალპობდენ.

ჩხეიძეს ნიკოლოზის ჟანდარმები რევოლვერებით დასდევდენ, ისე გეგეჭკორს, ისე ჩხენკელს, ჩვენს სათაყვანო ისიდორეს. ერთის სიტყვით ვის ინდობდენ, ვის იბრალებდენ?

— წერეთელი ქვეყანას ღუპავსო,—გაჰკიოდენ ნიკოლოზის ჯალათები.

— ჟორდანია დასახრჩობიაო,—ბანს აძლევდენ ჟანდარმები.

— ჩხეიძე მუშების მტერიაო,—გაიძახდენ პოლიციელები.

როგორც ნიკოლოზის დროს, ისე გაიძახიან ახლაც. ღმერთო ჩემო, სადა ვარ, რა მესმის! ნუ თუ ისევ აღდგენ ნიკოლოზის დამქაშები და დღეს ტანისამოს გამოცვლილნი ჩარევია მუშა ხალხს და ისევ დაღუპვას უპირებენ ქვეყანას, ისევ უნდათ მოადგან ქვეყანას თავიანთი კეხი და მძიმე უღელ ქვეშ მოგვახრევინონ ქედი!

ვხედავ, რომ ნაცნობი ხმებია, ნიკოლოზის დროინდელი სიტყვებია, მარა საკვირველი ის არის, რომ ამ სიტყვებს ისეთებიც კი ამბობენ, რომელთაც მართალი უნდა ვსთქვა—ნიკოლოზის მომხრეობას ვერ დავსწამებ, ეს უსინდისობა იქნება ჩემის მხრივ. რა მოუვიდათ ამ კაცებს, შეიშალნენ, თუ გადაირიენ? რათ ახარებენ მტრების გულს, რათ აცინებენ ხალხის მტრებს? ნუ თუ არ იციან, რომ მუშის საქმეს ჯერ კიდევ ბევრი მტერი ჰყავს და ისევ უნდათ ნიკოლო ის დროინდელ დღეში ჩაგვაგდონ! ვეკითხები ამ ხალხს—წერეთელ-ჩხეიძე-ჟორდანიას ფეხქვეშ მთელავებს: —რას შვებით ადამიანებო, რას ჩადიხარ, გონს მოდით, ნუ ღუპავთ ქვეყანას! მაგრამ ჩემი არავის ჯერა და ისევ თავისას განაგრძობენ. არ ვიცი—ვინაა ჩვენში მართალი და მტყუანი, მე კი ჩემი აღსარება უნდა გითხრა, ჩემო რედაქტორო. მაგრამ, თუ ღმერთი გწამს ჩემი სახელი და გვარი არ გამოაცხადო, თვარა ვინ იცის—ეგების ვიღაც შეატყობინოს ჩემს დედაკაცს ჩემი გამწერლების ამბავი და ვაი ჩემი ბრალი მაშინ,—უთუოდ დავიბრიგები.—მიწა მომითოხნე ამ სიძვირის დროს და მაჭამე მჭადი, მაგაზე როგორ ცდებიო, მიყვირებს ჩემი ბალიშის მოზიარე და გვერდებსაც გამიხურებს. მაშ ელოდე მეორე წერილს.

შენი ტყაპუჭიანი გლეხი.

## მცირე შენიშვნა

სამწუხაროთ ხშირათ ქუთათურ გაზეთებს, როგორიც არიან „ხ. მეგობარი" „ს. რევოლიუციონერი" და „ჩვენი ქვეყანა" შეცდომაში შეყავთ მკითხველები. აქ წარმოიდგინეთ ჯარისკაცთა საბჭოს 28 იანვრის სხდომის ნამდვილი სახეც კი დაამახინჯა გაზ. „ს. რევოლიუციონერმა". ვითომც გაზეთის გადმოცემით,

---

ტი. ერთი სიტყვით, ციდან რომ მეტეორი ჩამოვარდეს და რამე დააზიანოს, დამნაშავე უეჭველათ კომისარიატი იქნება და ობორონცული ცენტრები, რომელნიც თფილისში იმყოფებიან. იხსენიებდენ აგრეთვე იმასაც, რომ შამქორის ამბები თითქოს ნ. ჟორდანიას და კომისარიატის განკარგულების შედეგი იყოს.

მალე კამათი მოსპეს. მარა მე მაინც ფაქტიური განცხადებისთვის ვითხოვე სიტყვა და თუმცა ბევრ ფანატიკოსს არ სურდა ჩემგან ამბების გაგონება, მარა მასსის სწორმა ინსტიქტმა დასძლია, და სიტყვა მივიღე. მე აღვნიშნე აფხაზავას ჯავშნიან მატარებლის ისტორია. გავუთვალისწინე კრებას, რომ კომისარიატს არც პირდაპირ, არც არაპირდაპირ მის თარეშში წილი არ უდევს, რომ მატარებელი თვით აფხაზავამ გაიტაცა და თათრის დივიზიასთან ერთათ თავისიანებით შეუდგა ეშელონებისთვის იარაღის აყრას. შევეხე თათრის მემამულეების როლს, მათ ხელმძღვანელობას ამ ტრაგედიაში, გადავეცი განჯის კომიტეტის წევრთა სიტყვები და განცხადებები და სხ. გადავეცით იმ დეპეშების შინაარსი, რომელიც დამსხვრეულ მატარებელში ვიპოვნეთ სისხლში დასვრილი და რომელშიაც ჯავშნოსანს ნაბრძანები ქონდა ომი არ აეტეხა და განჯაში დარჩენილიყო ეშელონების გავლამდე და წარმოიდგინე, რაც უფრო მეტათ ირკვეოდა ფაქტებისგან უდანაშაულობა კომისარიატის და დანაშაული თათრის მემამულეების, მით უფრო მეტი მღელვარება ეტყობოდა კრების ერთ ნაწილს. აქა-იქ გაისმა კიდეც რეპლიკები, რომელნიც მე უპასუხოთ არ დამიტოვებია. ზოგიერთებმა დაიწყეს ძახილი, დრო გავიდა, მეტი აღარ გვსურს მოსმენაო. —ვინაც ფაქტების მოსმენა არ სურს, განვაცხადე მე, მას სინამდვილის ეშინია, იგი ვერ ბედავს მას თვალი გაუსწოროს მეთქი, შევეკამათე მე და მოწინააღმდეგენი ჩაჩუმდენ.

ფაქტების ახსნასა და კომენტარიებზე, მდგომარეობის საერთო დახასიათებაზე ამის შემდეგ ჩემი მხრით სიტყვის თქმა შეუძლებელი იყო. და მე მარტო ცარიელი ფაქტების გადაცემით უნდა დავკმაყოფილებულიყავ.

მაგრამ თვით ფაქტების ლოღიკამ აშკარათ გამოაჩინა სრული სიყალბე ბალშევიკების პოზიციის და შესაფერი შთაბეჭდილება დასტოვა მასსაზე. ეს იგრძნეს ხელმძღვანელებმა და შეეცადენ შთაბეჭდილების გაფანტვას. იღებდენ სიტყვას ფაქტიურ ცნობების გადასაცემათ და სააგიტაციო სიტყვას ამბობდენ. თვით სამხედრო რევოლიუციურ კომიტეტის თავმჯდომარე კორგანოვი დემაგოგიური სიტყვებით ცდილობდა კრების ისევ ძველ კალაპოტში ჩაყენებას. ეს აღნიშნა კიდეც საქო სააკიანმა, ესერმა და მანაც ფაქტიური სიტყვა მოითხოვა. არ აძლევდენ, რადგან ის თავის მომხრეთ არ მიაჩნდათ. ბოლოს დიდი დავის შემდეგ მისცეს და მანაც საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა. ორპოფი იყო მისი სიტყვა, ისე, როგორც ორპოფია ესერების პოლიტიკა, იგინი ბალშევიკებსაც გმობდენ და კომისარიატსაც, ხოლო სად იყო სიმართლე—ვერ დაგვანახვეს.

ბოლოს კრებამ უმრავლესობით მიიღო ბალშევიკების რეზოლიუცია, რომელშიაც კომისარიატს ადებდენ ბრალს შამქორის ამბებში.

აქვე აღსანიშნავია ერთი რამ. თავმჯდომარემ, რომელსაც შეეკითხენ, თუ რა ზომებს იღებს აღმასრულებელი კომიტეტი, რომ გზებზე ასეთი თავდასხმები მოისპოსო, განაცხადა სხვათა შორის, რომ ისინი კომისარიატს ძალას დაატანენ წესიერების აღსადგენათ და თუ კომისარიატი არ დაემორჩილა მთელ ხალხს დაამშევენ, არც ბალაჯარიდან, არც ნოვოროსისკიდან პურს არ გაუშვებენ, რადგან ორივე ეს პუნქტი ბალშევიკების ხელშია. ასეთია ამ ბალშევიკთა ველური ზომები, რომელსაც მე შემდეგშიაც შევხვდი ბალშევიკების მხრივ, ჩრდილოეთ კავკასიაში. აქვე კრებაზე მე გამაცვიფრა ერთმა გარემოებამ. თათრები ყველანი ერთსულოვნათ უჭერდენ მხარს რეზოლიუციას და ებრძოდენ კომისარიატს. მეორე მხრით გამაკვირვა იმანაც, რომ მუსულმან მემამულე ბეგების და საერთოდ შამქორის ტრაღედიის პირდაპირ მონაწილეებსა და სულის ჩამდგმელებზე კრინტიც არ დაუძრავს არავის ჩემს გარდა, არც რეზოლიუციაში მოუხსენებიათ. ჩემ განცვიფრებაზე ამხანაგებმა გამირკვიეს, რომ უკიდურესი მემარცხენე ბალშევიკები შეხმატკბილებული არიან უკიდურეს მემარჯვენე ბეგების პარტიასთან „მუსავატთან". თურმე იმ დღიდან, როცა მუშათა საბჭოებმა ლენინის კომისართა მთავრობა იცვნეს, ქალაქის საბჭომაც, რომელშიაც მუსავატისტები და სხვა ნაციონალისტები ბატონობენ, მათი ხელმწიფება აღიარეს, ასე ვთქვათ სიტყვიერათ მათ დაემორჩილენ. ამით რეაქციონური საბჭო გარეკასაც გადარჩა და თავის ბნელ საქმეების საწარმოებელი მოკავშირეც შეიძინა. „სული სულს იცნობსო". რეაქციონერთაც იცვნეს წითელ სამოსელში გამოხვეული მოკავშირენი.

პირველათ ამნაირათ აქ გადაასხეს ცივი წყალი ჩვენს გახურებულს გულს, რომელშიაც რაღაც იდეალური წარმოდგენა დაბადებულიყო ადამიანებზე, საზოგადოებაზე. იქნება იდეალიზმი სწორეთ მაშინ იბადება ადამიანში, როცა მას გაჭირვება ატყდება თავზე?

საღამოს ქალაქის საბჭოს სხდომა იყო. სასურსათო კომიტეტმა მცირედი მოლაპარაკების შემდეგ, ჩვენი დელეგაციის მთელი შემადგენლობა გაემართა საბჭოს დარბაზისაკენ. 20-დე სტუმარი ვეწვიეთ თვითმართველობას, რომ ნანახი და გაგონილი გადაგვეცა. ქალაქში ათასგვარი ჭორები ტრიალებდა, ჭორს ჩვენთვის ბევრი წინ გაესწრო და ამბები წინდაწინ გვხდებოდა ფანტაზიით ათას ფერათ შეზავებული.

ბურუსის გაფანტვა—სიმართლის აღდგენა, ობიექტიურათ ფაქტების გაშუქება, და ასე საშვალების მიცემა საზოგადო მოღვაწეთათვის შესაფერი ზომების გამონახვის,—აი ასეთი იყო ჩვენი წრფელი მიზანი, რომელსაც გვეგონა ყველა თანაგრძნობით შეგვხვდებოდა.

მე ასეთ ოპტომიზმს სავსებით არ ვიზიარებდი და ამიტომ ჩვენი მენშევიკური ფრაქციის დახმარება წინდაწინვე მოვიპოვე. სამწუხაროთ ამ დახმარებამაც კი ვერ მიგვაღწევინა სავსებით მიზანს.

თვითმართველობაში ძალიან გულგრილათ შეგვხვდენ. მტრულათაც. მუშათა საბჭოდან უკვე გადაეცათ ქალაქის მამებისთვის ჩვენი ნაუბარი, ჩვენი პოზიცია. მათ ეს თურმე არ მოსწონებოდათ.

მარა ჩვენ მაინც დავაყენეთ საკითხი რომ მოესმინათ ჩვენთვის. ქალაქის თავმა ორპოფული პასუხი მოგვცა: უნდა ჯერ გავიგოთ, რის თქმა გსურთ, ვაი თუ მღელვარება გამოიწვიოს თქვენმა ამბავმა აქაც და სხვ.

დაფეთებული სომხის ნაციონალისტები—დაშნაკცაკანებიც კი აიყოლია ამ დაშინებამ და ისინი თითქმის გვემუდარებოდენ, ნუ გააკეთებთ მოხსენებასო! რა წვრიმალი ყოფილა კაცობრიობა, თუ თვით ქალაქის რჩეულნი ასეთ სულმდაბლობას იჩენენ!

მენშევიკთა ფრაქციის საშვალებით, ჩვენ საკითხი სხდომაზე დავსვით. ამხ. აიოლლომ წინადადება შეიტანა მოესმინათ ჩვენთვის. ხმოსნები შეცბენ, შეფუცხუნდენ. ერთმა წამოიკნავლა—დახურულ კარებში აჯობებს მოსმენა, მაშინ ჩვენ იმას გამოვაქვეყნებთ მხოლოდ, რაც მღელვარებას არ გამოიწვევს. მეორემ განაცხადა, აქ მეორე მხარე (?) არ არის და ცალმხრივი მოხსენების მოსმენა—დამშვიდებას არ შეიტანს საზოგადოებაშიო. მესამემ კიდევ სხვა ასეთივე, უკაცრავათ პასუხია საბუთი მოიმიზეზა. ბოლოს და ბოლოს დიდი რყევისა და ტრიალის შემდეგ ხმის უმეტესობით გადაწყვიტეს ოფიციალურ კრების მაგიერ ხმოსანთა კერძო თათბირზე მოესმინათ ჩვენთვის. ასე ამ რიგათ წინდაწინვე სანამ სიტყვას დავძრავდით უნდობლობა გამოუცხადეს ჩვენს გულწრფელ გატაცებას.

ჩვენც შევცქეროდით ამ კომედიას, რომელთაც ლენინის ქვეშევრდომი ხმოსნები აწარმოებდენ. ჯერ თავმჯდომარემ ჯაჭვი აიხსნა (იგი მას ახლაც ატარებს სხდომის დროს) და კრება დახურა. მცირე დასვენების შემდეგ ხმოსნები ხელახლა მოგროვდენ, ახალი თავმჯდომარე აირჩიეს, რომ ოფიციალობის ნიშან წყალიც არ ქონდა თათბირს და ნება მოგვცეს გველაპარაკა. ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვქონდა საკადრისი პასუხი ამ კეკემლულობის მოთამაშეთათვის.

ამხ. პოპოვი ადის ტრიბუნაზე და აცხადებს: აქ მოვედით წარმომადგენელნი კავკასიის სასურსათო უპრავის, წარმომადგენელნი ამიერ-კავკასიის კომისარიატის, მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრის, თფილისის ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის წევრი, საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი, სხვადასხვა სოციალისტურ პარტიათა ცენტრალურ ორგანოების წევრნი და სხვები და აი ასეთ დელეგაციას სურდა თქვენთვის გადმოეცა ობიექტიურათ ის, რაც განიცადა თფილისიდან ბაქომდე. გვინდოდა დაგვემშვიდებია მცხოვრებლები და მიგველო ზომები ყველა ამის შემდეგში განმეორების წინააღმდეგ.

თუ ამდენ საზოგადო მოღვაწეთა მოხსენება წინასწარ ცალმხრივათ და უნდობლობის ღირსათ გამოაცხადეთ, თქვენ ცხადია სიმართლის გაგება არ გსურთ და ჩვენ ამიტომ კერძო თათბირზე სამასლაათოთ არ გვცალიაო...

ამის შემდეგ ჩვენ დემონსტრატიულათ დარბაზი დავსტოვეთ. მენშევიკმა ხმოსანმა აიოლლომ ცხარე სიტყვით აღნიშნა ხმოსნების ასეთი უკულტურო და ანტიდემოკრატიული საქციელის მთელი სივაგლახე, რითაც დამსწრე საზოგადოების მქუხარე ტაში დაიმსახურა.

ამრიგათ ჩვენი მისია საქმის გაკეთების მაგიერ დემონსტრაციით დამთავრდა.

სხვების რა მოგახსენო და მე, თუმც ბევრს ცუდს მოველოდი, მარა ასეთ ფინალს კი არა. ახლა კი საბოლოოთ დავრწმუნდი, რომ ადამიანებში ბევრნი ყოფილან ისეთ პოლიტიკურ ცხოველთა ჯიშის, რომელთაც პოლიტიკანობა სიმართლესა და ადამიანობაზე მაღლა აქვთ დაყენებული.

გულგატეხილნი, იმედ გაცრუებულნი, დაღვრემილნი გავშორდით ბაქოს. უკან აღარ მოგვიხედნია. იმავე ღამეს 2 საათზე ჩვენი სადელეგატო ვაგონი ფოსტის მატარებელს მოვუბით და გავსწიეთ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ. დავსტოვეთ ეშელონებიც, სასურსათო რაზმიც, რომ ხელახლა მაინც არსად გავხვეულიყავით ისეთსავე დავიდარაბაში და შემდეგ პოლიტიკურ ცხოველთა გულგრილობის მწარე ნაღველი არ დაგველია.

ჩ. ა.

(შემდეგი იქნება)

ჯარისკაცთა საბჭოში უმეტესობას შეადგენდენ ბოლშევიკები, ეს სიცრუეა, ეს ფაქტის გადამახინჯებაა, პირიქით ბოლშევიკებს რაღაც ორიოდე კაცი ჰყავთ და ისინიც არ არიან სავსებით გამორკვეული პოლიტიკურ რწმენის მხრით. საბჭოს შემადგენლობა კი ფაქტიურათ ასეთია: 89 კაცში მენშევიკებს 60-დე კაცი ჰყავთ. 28 იანვარს მოხდა ამ საბჭოს წევრთა კრება, რომელმაც აირჩია 25 კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი კომიტეტი. თავმჯდომარეთ აირჩიეს მენშევიკი ამხ. ჯარისკაცი მეხუზლა. როგორც მკითხველი დაინახავს ზემო ნათქვამიდან აშკარაა უმეტესობას, ვიტყვით აბსოლიუტურ უმეტესობას, შეადგენენ ქუთაისის ჯარისკაცთა საბჭოში მენშევიკები და არა ბოლშევიკები, ამის შემდეგ გაუგებარია, რათ დასჭირდა „ს. რევოლიუციონერის“ მოჯირითე ქრონიკერს ფაქტის დამახინჯება, რითაც შეცდომაში შეიყვანა სხვათა შორის ჩვენი გაზეთი „ერთობაც“.

ს. კოორდინატი

## ეშელონების მიერ დატყვევებულნი

6 იანვარს, ღამის 11 საათსა და 15 წუთზე რკინის გზის მთავარ კომიტეტის მორიგმა წევრმა ი. დოლიძემ შემატყობინა, რომ სად. ყარაიაზში სდგას ჯავშნიანი მატარებელი როტმისტრს აფხაზავას მეთაურობით, რომელიც წინადადებას აძლევს აგტაგლიაში მდგომ სამ ეშელონს იარაღი იაყარონ. ეშელონები უარს ამბობენ და მზათ არიან ბრძოლა დაიწყონო.

მე მაშინვე მივმართე განყოფილების უფროსს, რომელთანაც იყვენ ს. თავდიშვილი და ა. კანდელაკი, რომ გამეგო საქმის ვითარება. თათბირის შემდეგ ჩვენ ყველაფერი შევატყობინეთ ადგილობრივ მთავრობას. შემდეგ ჩვენ მთავრობის თანხმობით პირდაპირ მავთულით აბხაზავას გადავეცით, რომ იარაღი არ აეყარა ეშელონებისთვის, რაზედაც ის სიამოვნებით დაგვეთანხმდა და თან განაცხადა, რომ ეშელონები ერთი მეორეს თან მისდევენ, რაც მას საფრთხეს უქადის და შევეკითხა როგორ მოვიქცეო. ამხანაგების თანხმობით მე გადავსწყვიტე წავსულიყავ. ჩემთან ერთად წამოვიდა სურმავა.

სად. კარაჯალიზე იდგა ყაზახთა შეიარაღებული რაზმი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა აგტაგლიაში გაეგზავნათ ეშელონებთან შესაერთებლათ. რადგან გზა თავისუფალი არ იყო სადგურის უფროსმა ნება არ მისცა, ყაზახები ფრიად აღელვებულები იყვენ, გამოიწვიეს აგტაგლის სადგურის უფროსი ტელეფონით და შეკითხვის შემდეგ ყაზახები დარწმუნდენ, რომ დასახელებულ მიზეზით შეუძლებელი იყო იქ წასვლა.

ყაზახების დელეგაციასთან ერთათ ორთქლმავალით აგტაგლიაში მივედით. ჩვენ მოველაპარაკეთ ეშელონების დელეგაციას და შემდეგ გავმართეთ მიტინგი. ჩვენ ავუხსენით, რომ გამოგზავნილი ვიყავით თავისუფლათ გაგვემგზავრებია ეშელონები. ჩვენი აზრი ეშელონებს მოეწონათ. ავირჩიეთ დელეგაცია და წავედით ყარაიაზში ჯავშნიან მატარებლის უფროსთან მოსალაპარაკებლათ. აქ ჩვენ გავიგეთ, რომ აქსტაფამდე მატარებელი მოიყვანა მემანქანე ლეჟავამ, დაავდო იქ და აგტაგლიაში მოვიდა და საზიზღარი აგიტაცია გასწია ეშელონებში.

ჯავშნიან მატარებლის უფროსთან მოლაპარაკების შემდეგ გადავსწყვიტეთ მატარებელი სად. პოილიზე გაგვეგზავნა და ნება მიგვეცა ეშელონებისთვის ერთი მეორეს მიჰყოლოდენ და წასულიყვენ. განვიზრახეთ ჯავშნიან მატარებლის ჩიხში გაჩერება, სადაც მას ეშელონები ვერ დაინახავდენ.

ამის შემდეგ ჯავშნიანი მატარებელი გავგზავნეთ დანიშნულ ადგილას და თან გაჰყვა სურმავა. ჩვენ ისევ ეშელონებს დაუბრუნდით და კიდევ მიტინგი გავმართეთ, პირველად ილაპარაკა ყაზახმა დელეგატმა, შემდეგ ჩვენ დავაპირეთ ლაპარაკი, მაგრამ აღარ დაგვაცადეს. „სისხლის მსმელებო, მოღალატეებო, გამყიდველებო“ და სხვა ამ გვარი საზიზღარი სიტყვები მოგვაყარეს. ეშელონების ჩვენ წინააღმდეგ ასეთი გამოლაშქრება გამოეწვია იმავ ლეჟავას, რომელიც ღამით მოსულიყო აქ და კიდევ საზიზღარი აგიტაცია გაეწია.

ამ დროს შევამჩნიე, რომ ტრიბუნაზე ადიოდა ლეჟავა. რომ თვითგასამართლებისაგან თავი გვეხსნა მე და ცინცაბაძემ გავაფრთხილეთ ლეჟავა, რომ ამი- [illegible]

რომ თქვენთვის სიმართლე არ მეთქვა, მაგრამ მე ამას არ ვიზამ. ჩემი ვალია სიმართლე გითხრათ და გეტყვით კიდეც.

ამის შემდეგ მან აუხსნა ჯარისკაცებს, რომ ჯავშნიანი მატარებელი სავსეა ყაზახებით, მათ უნდათ ჯარისკაცებს სულ ყველაფერი წაართვან და სხვა. და მოუწოდა იარაღი აეყარეთ ჯავშნიან მატარებლს თუ არა და ბრძოლით დაიმორჩილეთო.

მისმა სიტყვებმა იმოქმედეს, ჯარისკაცებმა კინაღამ თვითგასამართლება მოახდინეს ჩვენზე. როგორც იქნა გადაგვარჩინა ყაზახთა ერთმა პოლკოვნიკმა. მიტინგის დადგენილებით დაგვატუსაღეს, ჩაგვსვეს დახურულ ვაგონში, თან გამოვაყოლეს 50 ყაზახი და პოლკოვნიკი და გამოგვისტუმრეს ყარაიაზისკენ. აქ რაღაც მანქანებით ჯავშნიან მატარებლის დელეგატები გაიქცენ, საერთო არევ-დარევით ჩვენც ვისარგებლეთ და გავიქეცით ახლო სოფელში, საიდანაც შულავერში ჩავედით ფეხით, აქედან ავტომობილით თფილისში.

როგორც შემდეგ გადმოგვცეს ყაზახთა პოლკოვნიკი ჯარისკაცებს მოეკლათ.

## კავკასიის მუშ., ჯ.-ჯ. და გლეხთა დეპ. საზ. ცენტრში

(დასასრული).

ვ. ჯუღელი. მომხსენებლების შემდეგ ყველასათვის აშკარაა, რომ მდგომარეობა მეტად სერიოზულია. ბოლშევიკები არაფერს არ ერიდებიან თავიანთ პარტიულ ქინიანობის დასაკმაყოფილებლათ... ბოლშევიკები აწყობენ საპროტესტო მიტინგს. თუმცა განცხადებაში არ არის ნათქვამი, რის წინააღმდეგ აცხადებენ ისინი პროტესტს; მაგრამ, აშკარაა, ისინი პროტესტს გამოაცხადებენ კომისარიატის წინააღმდეგ მისი შაუმიანის წინააღმდეგ მოქმედების გამო. მაგრამ ის ხალხი, რომელიც, როგორც დელეგაციის მოხსენებიდან ირკვევა, სამარცხვინო პროვოკაციას აწარმოებენ ეშელონებში, რომელსაც სურს ეშელონები თფილისს შემოასიოს და ძმათა შორის სისხლის ღვრა გამოიწვიოს, რომელიც უფრო შეგნებულათ აწარმოებს რევოლიუციის დამღუპავ პოლიტიკას,— ეს ხალხი სასტიკათ უნდა იქნას გაკიცხული. ამ ნამდვილ დემაგოგებს შესწევთ კიდევ გამბედაობა პროტესტი განაცხადონ კომისარიატის წინააღმდეგ, რომელიც აღჭურვილია ამიერ-კავკასიის დემოკრატიის ნდობით და მოქმედებს რევოლიუციის განსამტკიცებლათ. ჩვენ სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ ჩვენი ყოფილი ამხანაგები, რომლებიც პირველათ ჩვენთან მუშაობდენ ამ ორგანიზაციებში და ახლა ცდილობენ ამავე ორგანიზაციების დამხობას. მე ყველაზე მეტ სიმპატიით ვეპყრობოდი ბოლშევიკებს. მაგრამ იმ დეკრეტის შემდეგ, რომელიც ბოლშევიკებმა საზავო მოლაპარაკების შესახებ გამოსცეს, რომელიც უფსკრულში აგდებს რუსეთის დემოკრატიას; იმ აშკარა დემაგოგიის შემდეგ, რომელსაც ისინი თავიანთ მიზნების მისაღწევათ აწარმოებენ,— ჩვენ უნდა გარკვეული დამოკიდებულება დავიკავოთ მათთან. ისინი აშკარათ ცდილობენ რევოლიუციის დამარცხებას. ამ ხალხთან შეუძლებელი ხდება ადამიანური დამოკიდებულება... ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, რომ კომისარიატის მოქმედებას აქნამდის აკლდა საჭირო აქტივობა, იგი სუსტი იყო. კომისარიატმა თავი უნდა დაანებოს პასივობას და აშკარა აქტიური პოლიტიკა აწარმოოს, როგორც საჭირო რეფორმების ცხოვრებაში გატარების დროს, ისე დემაგოგებთან ბრძოლაში. ბოლშევიკ-დემაგოგები თავიანთ გაზეთების ფურცლებზე კონტრ-რევოლიუციონერებს უწოდებენ ჩვენ საუკეთესო ამხანაგებს—ე. გეგეჭკორს და ნოე ჟორდანიას. მაგრამ ყველამ იცის, დემოკრატიამ იცის, რომ ნამდვილი კონტრ-რევოლიუციონერები ისინი არიან. ჩვენ ვიცავთ რევოლიუციას, ჩვენ რევოლიუციონერები ვართ; ამიტომ განსაზღვრული ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ. მე თავიდან არ ვეკიდებოდი სიმპატიურათ კომისარიატის გადაწყვეტილებას ბ. შაუმიანის დატყვევების შესახებ. მაგრამ შემდეგ დავრწმუნდი, რომ ეს აუცილებელია... კომისარიატის პოლიტიკას მეტი აქტივობა უნდა დაეტყოს. ჩვენ, ნამდვილ რევოლიუციონერებმა, არ უნდა დავიხიოთ ბოლშევიკებს, როგორც კონტრ-რევოლიუციონერების დაჭერის წინაშე, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

შემოდის წინადადება, სრული ნდობა გამოეცხადოს ამიერ-კავკასიის კომისარიატს და გამოითქვას სურვილი, რათა [illegible]

ვინაიდან შამხორის ამბებს დიდი მნიშვნელობა აქვსო. მცირე კამათის შემდეგ ცენტრი სტოვებს უკვე არჩეულ კომისიას და სთვლის მას საკმაო ავტორიტეტიან ორგანოთ, როგორც ცენტრის მიერ გამოყოფილს.

შემდეგ პონტოს, რიზეს და სხვა ომის უღლებით დაკავებულ ადგილების წარმომადგენელი ამოცილოვი აკეთებს მოხსენებას დასახელებულ ადგილებში მდგომარეობის შესახებ და ითხოვს ცენტრიდან სახელმძღვანელო დირექტივებს. ცენტრი ადგენს, ყოველ საჭირო შემთხვევებში წერილობით მიმართონ ცენტრს და ამიერ-კავკასიის კომისარიატს.

რადგანაც ქვორუმი არ აღმოჩნდა, სხდომა იხურება ღამის 12 საათზე და დანარჩენი კითხვები შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

ემჩენ.

## სოც.-დემ. პარტიაში

თფილისი. 30 იანვარს მოხდა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა მცირე კოლექტივის სხდომა. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) შაუმიანის დანიშვნა, 2) წრეების მოწყობა; 3) მავნე პირთა სია, 4) გაზ. „ბორბა“-სთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა და მისი გავრცელების მოწყობა და სხვა. პირველ საკითხის შესახებ კოლექტივმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „შაუმიანის დანიშვნა უდრის ნიკოლოზის მიერ ვარანცოვების დანიშვნას და ჩვენ, კოლექტივის წევრები, სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ ამნაირ ავანტიურისტულ მოქმედების წინააღმდეგ. სრულ ნდობას ვუცხადებთ ამიერ-კავკასიის მომავალ სეიმს და ვუსურვებთ მას ენერგიულ მუშაობას“. მეორე საკითხის შესახებ ამხანაგებმა გამოსთქვეს აზრი, რომ პარტიულ მუშაობის ნაყოფიერობისათვის საჭიროა მოეწყოს წრეები, რისთვისაც ადგილობრივ ძალების გარდა მოწვეულ უნდა იქნას სისტემატიურად სამეცადინოთ რაიონულ კოლექტივიდან მცოდნე პირი. მავნე პირთა სიამ უმეტესობა ამხანაგებისა ვერ დააკმაყოფილა. დაევალა ამხანაგებს წარმოადგინონ საბუთები ამა თუ იმ პირის მავნებლობის დასამტკიცებლათ. დანაშაულობისა და მიხედვით მავნე პირებს ზოგს დაატუსაღებენ, ზოგს დაითხოვენ სამსახურიდან და ზოგს სხვაგან გადაიყვანებენ. ამ კითხვის დაჩქარებით გამოსარკვევათ კოლექტივმა ხელმეორეთ მოახდინა არაჩვეულებრივი კრება 2 თებერვალს. საბუთების მიხედვით განიხილეს ცალკე დამნაშავეთა მოქმედება და მთელი სია წარუდგინეს ცენტრალურ კომიტეტს სათანადო დადგენილების სისრულეში მოსაყვანად. გაზ. „ბორბას“ შესახებ ყველა წევრს დაევალა შეაძენიოს თავის ამხანაგებს პაი და მოაწყონ ხელის მოწერა თანამგრძნობთა შორისაც. კოლექტივს საჭიროთ მიაჩნია ყველა პარტიული ამხანაგი მოვალეთ სთვლიდეს თავის თავს ან რუსული „ბორბა“ და ან გაზ. „ერთობა“ აუცილებლათ ჰქონდეს გამოწერილი. იმედია სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები თავის მაგალითით ხელს შეუწყობენ ამ სურვილის განხორციელებას.

„იბერი“.

## მუშათა შორის

თფილისის ტრამვაი. 30 იანვარს, ტრამვაის პარკში დილის 7 საათზე ვაგონების გამოშვების დროს რამდენიმე კონდუქტორ-ვატმანებმა ლეილოიანცმა, ნემცოვმა, დიუბარმა, ტიჩინსკიმ კობზიევმა, კაკოიანცმა და სხვებმა მოუყარეს პარკში ხალხს თავი და გამოუცხადეს, წითელ-გვარდიელები სულ სოციალ-დემოკრატებისაგან შესდგებიან, ისინი იქ, სასახლეში დასეირნობენ, დღეში სამნაირ სხვადასხვა გემრიელ საჭმელებს მიირთმევენ და ჩვენ კი აქ ვმუშაობთ, ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია და ამიტომ ძირს წითელი გვარდიელებიო. ამ პროვოკაციას აყვენ დასახელებულ ვაჟბატონების დამქაშები და ასტეხეს განგაში, სოციალ-დემოკრატი მუშები ღუპავენ ყველაფერს და უნდა გავდევნოთ ისინი აქედგანო და სხ. ამის გამო ვაგონების გამოშვება ნახევარი საათით დაგვიანდა. თუ რომელიმე ვატმანი ან კონდუქტორი გაბედავდა ვაგონის დაძვრას, წინ უხვდებოდენ და ცემით ემუქრებოდენ. აი ასე დაიწყეს ძველმა პროვაკატორებმა და „რუსთა კავშირის“ ყოფილმა წევრებმა თავიანთი მოღვაწეობა ტრამვაის მუშათა შორის. ეტყობა რაღაც იგრძნეს, ასე რომ გათამამდენ ეს ვაჟბატონები. საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიექცეს ყურადღება და ეს ვაჟბატონები საჩქაროთ აიღ გმონ. ეყოთ [illegible]

პროვაკაციას. 30 იანვრის გმირები სასტიკათ უნდა დაისაჯონ. კმარა მოთმინება. საჭიროა რევოლიუციონური ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში უფრო გათამამდებიან ბნელი ძალები.

„საყორნიელი“.

ვსთხოვთ გაზეთ „ფაიქარს“ გადაბეჭდოს ეს წერილი.

ს—ლი.

ფოთი. 25 იანვარს ფოთის ხე-ტყის ქარხნების მუშებმა შემდეგი მოთხოვნილებები წარუდგინეს მექარხნეებს: 1) ჯამაგირის გადიდება 5 მანეთით; 2) ყველა ქარხნებისათვის 1 მექანიკის დაქირავება; 3) თუ ქარხანა გაფუჭდა და ქარხნის პატრონი დროზე არ შეუდგა მის შეკეთებას, მაშინ მუშები ღებულობენ გაცდარ დღეების ხელფასს. პასუხი მუშებს უნდა მიეღოთ 3 დღის განმავლობაში. მექარხნეები დათანხმდენ 1 მ. 50 კ. მომატებას, ხოლო დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ისინი კატეგორიულ უარს აცხადებდენ. ამის გამო მუშებმა 27 იანვარს გაფიცვა გამოაცხადეს. მეორე დღეს მეტივეებმა ჩამოიტანეს ხეები. მექარხნეებმა ხეები არ მიიღეს და დაარწმუნეს მეტივეები, თითქოს მუშები მათ წინააღმდეგ ილაშქრებდენ. მუშებმა მაშინ წინადადება მისცეს მეტივეებს: გამართეთ კრება და ჩვენ აგიხსნით რაშია საქმეო. მეტივეებიც დათანხმდენ. მუშების მხრივ მეტივეთა კრებაზე გაიგზავნა 3 კაცი: პ. ტაბაღუა, კ. დოლიძე და თ. ხომერიკი. მეტივეების კრებას თავმჯდომარეობდა მიხა გვიჩია, ფოთში კარგათ ცნობილი მემამულე! მიხა გვიჩია და მისი დამქაშები აძლევდენ ტონს მთელს კრებას. მუშებმა განუმარტეს კრებას საქმის ნამდვილი ვითარება და განაცხადეს, რომ გაფიცვა არ იყო მიმართული მეტივეთა წინააღმდეგ, რასაც ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ გაფიცვა გამოცხადდა მეტივეების ჩამოსვლის წინა დღეს, როცა მუშებმა არც კი იცოდენ, თუ მეტივეები მეორე დღესვე ჩამოვიდოდენ. მიუხედავათ ასეთი მარტივი განმარტებისა, მეტივეებმა—გლეხებმაც—გაფიცვა მათ წინააღმდეგ მიმართულად აღიარეს. მემამულე თავმჯდომარე კი მშვენივრათ ასრულებდა დამბეზღებელის როლს.

მომრიგებელი კამერის წყალობით გაფიცვას ბოლო მოეღო 28 იანვარს, გაფიცვის გამოცხადების მეორე დღესვე. მექარხნეებმა დააკმაყოფილეს მუშების ერთი მოთხოვნილება,—დღეში 9 მ. 50 კ. მაგიერ მიეცემათ 14 მან. 50 კაპ. დანარჩენ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გადაიდო სხვა დროისათვის.

ქალაქის თვითმართველობა იმუშავებს ეხლა პროექტს მუშების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

შ. ჩ.

## პროვინცია

ბორჯომი. როგორც ვიცით, ფრონტი დაცარიელდა. წამოვიდა ზოგი კანონიერათ და ზოგი თავის ნებით. გაივსო სოფლები ჯარისკაცებით. ეს უკანასკნელნი, სამწუხაროდ, იმის მაგივრად, რომ შესდგომოდენ გლეხებთან ერთად შეერთებულ სარევოლიუციო მუშაობას და მათთან ერთად ადგილობრივი სარევოლიუციო საქმეები ეკეთებიათ, ბევრი მათგანი ზოგ ადგილებში პირდაპირ დამღუპველ ნაბიჯებს დგამს. ზოგიერთი მათგანი ბოლშევიკობას ჩემობენ, ზოგი მენშევიკობს, მაგრამ მათი ყოფაქცევა ნათლათ ადასტურებს მათ არარაობას. ისინი გვერდში ამოუდგენ და მხარს უჭერენ ყველა იმათ, ვინც სრული უკმაყოფილოა და პრინციპიალურათ წინააღმდეგია რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა და მოითხოვენ ამ უკანასკნელთა დაშლას. ბორჯომში ამ ჟამად შეიარაღებულია 150-მდე წითელი გვარდიელი, რომლებიც პირნათლათ ასრულებენ თავის მოვალეობას. განზრახულია აგრეთვე ასეთივე გვარდიის სოფლებშიც შედგენა. ამ მიზნით მთელ ბორჯომის ხეობის სოფლებში დადიან მოწინავე ამხანაგები, რომლებიც უხსნიან მცხოვრებთ ამ გვარ შეიარაღების მნიშვნელობას. სამწუხაროდ ამხანაგებს არა სასიამოვნო ამბები ჩამოაქვთ სოფლებიდან. სოფლელები მოითხოვენ ყველა ბორჯომში არსებულ კომიტეტების და ორგანიზაციების დაშლას და გადაყენებას. 25 იანვარს ბორჯომში ჩამოვიდენ 20-მდე სოფლების მიერ არჩეული წარმომადგენლები, რომელთაც გამართეს აღმასრულებელ კომიტეტის შენობაში კრება. კრებას დაესწრენ აგრეთვე ყველა ორგანიზაციების და კომიტეტების წევრები. გლეხებმა განაცხადეს, რომ ჩვენ დავალებული გვაქვს ხალხიდან ყველა კომიტეტების დაშლა და ხელახალი არჩევნების მოხდენა. არჩევით [illegible]

ბორჯომის მკვიდრნი არ იყვნენ, რამაც ბოლოს თვით მომჩივანი გლეხებიც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ბოლოს კრება გათავდა იმით, რომ დაადგინეს გლეხთა საბჭოს რეორგანიზაცია და შემდეგ სარევიზიო კომისიის გამოყოფა, რომელიც ჩამოართმევს ანგარიშს ზემოხსენებულ პირებს, რათა სამუდამოთ გაფანტულ იქნეს უსაფუძვლო ეჭვები. ამის გარდა აირჩიეს 3 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა დიდი მთავრის კანტორასთან გლეხების დამოკიდებულების მოწესრიგება. ამ ნაირად ამ კრებაზე დამტკიცდა ნათლად ის ფაქტი, რომ გლეხები იყვენ ბნელი ძალების მიერ დაბრიყვებული, მაგრამ საჭირ-ბოროტო კითხვების ახსნა განმარტების შემდეგ, ისინი რამდენიმეთ დაკმაყოფილებულნი დაიშალენ.

ჩვენ გვწამს, რომ ჩამოსული ჯარისკაცების ასეთი ცუდი მოქმედება წარმავალია, ადრე თუ გვიან გამოირკვევიან, გაითვალისწინებენ დღევანდელ მძიმე მომენტის სიმწვავეს და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად დაიწყებენ სარევოლიუციო მუშაობას. მაგრამ ეს პროცესი უნდა მოხდეს მალე, რათა ანარქიამ არ წალეკოს ყოველგვარი კეთილდღეობა სოფლისა და რევოლიუციის მიერ მოპოვებული თავისუფლება.

ნოდე.

სოფ. საჭილაო. 14 იანვარს შესდგა „კავშირი“-ს წევრთა წლიური კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) წარსული წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2) მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა; 3) მოგების განაწილება; 4) დამფუძნებელი კრების გარეკვა; 5) ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

წარსული წლის მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარე ლ. დუნდუა. მთელი წლის განმავლობაში გაუყიდიათ 305,747 მ. 38 კ. საქონელი.

აქტივი: კასაში 11986 მ. 84 კ.; საქონელი 15,660 მ. 44 კ.; ნივთები 2798 მ. 02 კ.; ნისია 5 მ. 83 კ. სულ 30,451 მ. 13 კაპ.

პასსივი: სესხი 7505 მ. 20 კ.; საპაიო 12,292 მ. 65 კ; საწევრო და ძირითადი თანხა 1219 მ. 30 კ; მოგება 7142 მან. 98 კ. სულ 30,451 მ. 13 კ.

ეს ანგარიში კრებამ სარევიზიო კომისიის დასკვნის შემდეგ დაამტკიცა და გამგეობას მადლობა გამოუცხადა.

მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის ვარაუდი, გამგეობის მიერ წარმოდგენილი 23,520 მან. კრებამ უცვლელათ დაამტკიცა. გამგეობის წინადადებით მოგება განაწილებულ იქნა შემდეგნაირათ: 10 პროც. 1230 მ. მიემატა საპაიო შემოსავალს, 10 პროც. 714 მ. გადაირიცხა სათადარიგო თანხაში, უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლისათვის 500 მან., გლეხთა დეპუტატების საბჭოს 100 მან., სამკითხველოს 200 მან., პოლიტიკურ კლუბს 200 მ., სამეურნეო ამხანაგობას 200 მან., ფოსტის განყოფილების დასაარსებლათ 200 მ., ღარიბ ბავშვთათვის 200 მ. დანარჩენი მოგება გადაიდვა საამშენებლო ფონდის გასაძლიერებლათ. დამფუძნებელ კრების გარეკის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ვ. კორძაია და მოუწოდებს დამსწრეთ გამოსთქვან თავისი აზრი. კრება ერთხმათ ადგენს: გამოეცხადოს სასტიკი პროტესტი ბოლშევიკებს დამფუძნებელ კრების გარეკისათვის. კრება მოუწოდებს ყველა ამხანაგ კოოპერატორებს მხარი დაუჭირონ დამფუძნებელ კრებას, რომელიც წარმოადგენს ნამდვილი ხალხის სურვილების გამომხატველ ორგანოს. გამგეობის წევრებათ აირჩიეს კ. პიტახია, გ. მ. ხორელიძე, კ. დ. ხონელიძე, ბ. თელია და პ. ასათიანი, მათ კანდიდატებათ: კ. კ. დუნდუა და ერ. ჯანელიძე. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს: ა. ბ. კორძაია, ე. ქორიძე, კ. კოკავა, მათ კანდიდატათ თ. ჯანელიძე. უსურვებთ ახლათ არჩეულებს კარგათ წაეყვანოთ კოოპერატივის საქმე.

მეზობელი.

**დაიკარგა** მიმდინარე წლის 30 იანვარს საფულე, რომელშიაც იყო 2150 მ., ფასიანი კვიტანციები, პასპორტი, პირადობის მოწმობა, წლიური რკინის გზის ბილეთი სურათით, თბილისის სადგურის მუშათა აღმასრულებელ კომიტეტისაგან მოცემული მოწმობა, თფ. სად. კომისარიატისაგან მოცემული მოწმობა, თფილისის გუბერნიის სასურ. კომიტეტისა განმოცემული ნებართვა—სურსათის შეძენის შესახებ. ყველა ზემოხსენებული დოკუმენტები არის ამოწერილი მ. ხილ პეპოს ძე ლაბაძის სახელზე—მპოვნელს უმორჩილესად ვსთხოვ დოკუმენტები დაგვიბრუნოს შემდეგი მისამართით: Ст. Тифлисъ Контора 6-го уч. служба пути Михаилу Пеповичу Лабадзе.

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავითის ძის
**კეკელიასი**
მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
**გ. დონხინი**
ყოფილ ასსისენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს,
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი ქალი
**რ. გ. შიშლო-საბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

**ექიმი გ. მ. მუხაძე**
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

**ექიმი ვ. გ. ვეშაპიძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნავი კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის
**გ. გ. მეგრაბიანცისა**
შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

ექიმი
**დ. ი. ჟორდანია**
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებბა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

**ჩვენი ხალხის საყურადღებოთ**
**ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლათ**
მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში (ფრეილინის ქუჩა, № 11 საკუთარი სახლი) დილის 11-დან 3 საათამდე.

**საკომერციო ცოდნის კურსები**
**ა. ნ. ინწკირველისა**
ბათუმში.
კურსები ოთხ-თვიანია. მეცადინეობა ყოველ დღე საღამოობით 5—8 საათ. კურსებზე მიიღება ყველანი უმაღ. პირველდაწყებით სასწავლებლის ცოდნით. კურსებზე ასწავლიან: საერთო ბუხგალტერიას, კომერციულ ანგარიშს, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო და სათამასუქო სამართალს, საბანკო ბუხგალტერიას, კოოპერაციას—საკრედიტოსა და მომხმარებელს.
მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან მარინის ქალთა სასწავლებ. შენობაში.
სწავლის ფასი 200 მანეთი.
კურსებზე ჩაწერა შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში გამგეობის მდივანთან 12—2 საათამდე.
(6—6)

[illegible] სტამბა [illegible] № 1.